

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

## ირინა დეისაძე

ჯიშური სიწმინდის ზოგიერთი მაჩვენებელი  
ქართულ წითელ ღვინოებში

აგრარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დ ი ს ი რ ტ ა ც ი ა

დარგი: სასურსათო ტექნოლოგიები

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მარინე ბეჭუაშვილი

თბილისი

2013

## სარჩევი

შესავალი .....	4
1. ლიტერატურის მიმოხილვა .....	7
1.1. დვინის ნატურალურობის დადგენის ზოგიერთი მეთოდური საფუძველი .....	7
1.2. ყურძნის და დვინის ანტოციანების და პროანტოციანიდინების ზოგადი დახასიათება .....	11
1.3. ხილ-კენკროვანთა ანტოციანების ზოგადი დახასიათება .....	34
2. ექსპერიმენტული ნაწილი .....	38
2.1. კვლევის ობიექტები და მეთოდები .....	38
2.2. დვინის ანტოციანები, როგორც ჯიშური სიწმინდის ერთ-ერთი მაჩვენებელი .....	41
2.3. ზოგიერთი ფენოლური ჯგუფების რაოდენობრივი თანაფარდობა წითელყურძნიანი ტექნიკური ჯიშებისაგან და პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული დამზადებულ დვინომასალებში .....	55
2.4. ჯიშური სიწმინდის და პროანტოციანიდინების კორელაცია ტექნიკური ჯიშებიდან და პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმებიდან დამზადებულ წითელ დვინომასალებში .....	61
2.5. მეთილანტრანილატის, როგორც პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდებიდან დამზადებული დვინომასალების მახასიათებლის იდენტიფიკაცია .....	71
2.6. ანტოციანიდინთა დიგლუკოზიდები ზოგიერთ პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდულ ფორმებში .....	80
2.7. ანტოციანიდინების ლეიკოფორმები წითელი დვინომასალების პოლიმერულ პროანტოციანიდინებში .....	89

2.8. წითელყურძნიანი ტექნიკური ჯიშების და მათგან დამზადებული დგინოების ანტოციანთა ქრომატოგრაფიული პროცედურები .....	91
დასკვნები .....	114
გამოყენებული ლიტერატურის სია .....	116
<b>დისერტაციის ირგვლივ გამოქვეყნებული სამუცნიერო შრომების ჩამონათვალი .....</b>	<b>132</b>

## შესავალი

თემის აქტუალობა. ყურძნის ჯიშური სიშმინდის დაცვა, მისგან წარმოებულ ნატურალურ ღვინოპროდუქციაში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ეს საკითხი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს წითელი ღვინის ნატურალურობის დადგენისას, რამეთუ მათი შეფერვის ინტენსივობის ჩამოყალიბება საკუთარი ანტოციანების საფუძველზე, შესაძლებელია შეიცვალოს სხვა, მეტ-ნაკლებად მსგავსი ბუნებრივი ნედლეულით. ანტოციანებით მდიდარ ბუნებრივ ნედლეულს წარმოადგენს საქართველოში გავრცელებული წითელყურძნიანი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმები, რომლებიც ცნობილია ადგილობრივი სინონიმებით – „ვაქირულა“ და „დირბულა“. „Vitis vinifera“-ს სახეობის და ევრო-ამერიკული ჰიბრიდების წარმომადგენელთაშორის ტაქსონომიური ნიშნის ძიება მეცნიერთა კვლევის საგანი გახდა რამდნიმე ათეული წლის წინ. ამასთან დაკავშირებით, ყურადღება მიიპყრო ანტოციანების შესწავლამ და ამ კუთხით მნიშვნელოვანი კვლევები ჩატარდა ქართველ მეცნიერთა მიერ, აკად. ს.დურმიშიძის ხელმძღვანელობით. ფრანგი მეცნიერის რიბეროგაიონის დასკვნით, ევრო-ამერიკული წითელყურძნიანი ჰიბრიდებისათვის ტაქსონომიურ ნიშნად გამოვლინდა მალვიდინის დიგლუკოზიდი, დომინანტია ანტოციანებს შორის და შეადგენს მათ მიმართ 70-80%. მათგან რადიკალურად განსხვავებით, „Vitis vinifera“-ს წარმომადგენლები არ შეიცავენ მალვიდინის დიგლუკოზიდს, მათ ანტოციანებში წამყვანია მალვიდინის მონოგლუკოზიდი. აკად. ს.დურმიშიძის მეცნიერული დასკვნით კი, მალვიდინის დიგლუკოზიდი არ შეიძლება ჩაითვალოს ტაქსონომიურ ნიშნად ევროპული წარმოშობის ზოგიერთი ჯიშის ყურძენში მისი არსებობის გამო. მათ

მიერ ექსპერიმენტულად დაფიქსირდა „ასურეთული შავის”, „წითელი ბუდეშურის” ყურძნის კანში მაღვიდის დიგლუკოზიდის, ხოლო საფერავის ყურძნის კანში (ერთი წლის 1961წ. მოსავლიდან) პეტუნიდინის დიგლუკოზიდის არსებობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი გახდა, რომ „Vitis vinifera”-ს სახეობის წარმომადგენელი ვაზის ჯიშები შედარებით ეკრო-ამერიკულ პიბრიდებთან, მეტად მცირე რაოდენობით შეიცავენ დიგლუზოდურ ანტოციანებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნატურალურ ქართულ წითელ ღვინოებში ჯიშური სიწმინდის მაჩვენებლების დადგენა სხვადასხვა წარმოშობის ანტოციანების საფუძველზე კვლევის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

**კვლევის მიზანი.** კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში გავრცელებული ვაზის წითელყურძნიანი საღვინე (ტექნიკური) ჯიშების-საფერავის, კაბერნე-სოვინიონის, ოცხანური საფერეს, თავკვერის და შავკაპიტოს (*Vitis vinifera*) ანტოციანების გამოკვლევა. აღნიშნული ჯიშებიდან დამზადებულ წითელ ღვინოებში ჯიშური სიწმინდის მაჩვენებლების დადგენა პირდაპირმწარმოებელი წითელყურძნიანი პიბრიდული ფორმების – „ვაქირულას”, „დირბულას” (ადგილობრივი სინონიმები), იზაბელას – *Vitis Labrusca*-ანტოციანებთან შედარების საფუძველზე. ამასთანავე ანტოციანების გარდა, კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჯიშური სიწმინდის სხვა მაჩვენებლების დადგენა.

### **მეცნიერული სიახლე:**

– დადგენილია საქართველოში გავრცელებული „*Vitis vinifera*”-ს წარმომადგენელი საღვინე ვაზის ჯიშების-საფერავის, კაბერნე სოვინიონის, ოცხანური საფერეს, თავკვერის შავკაპიტოს და მათგან დამზადებული სუფრის მშრალი წითელი ღვინოების ჯიშური სიწმინდე პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმების ანტოციანებთან შედარების საფუძველზე;

– საღვინე ვაზის წითელყურძნიანი ჯიშების სუფრის მშრალ წითელ დვინომასალებში ჯიშური სიწმინდის მაჩვენებლად გამოვლინდა ოლიგომერული პროცესიანიდინების თანაფარდობა

პოლიმერულ პროცესიანიდინებთან ( $K = \frac{333}{333}$ ); ტექნიკური ჯიშების წითელ დვინომასალებში  $K < 1$ ; პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმების წითელ დვინომასალებში პირიქით-ოლიგომერული პროცესიანიდინები ჭარბობს პოლიმერულს და შესაბამისად  $K > 1$ ;

– პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმებიდან „დირბულა“-ს დვინომასალისათვის დამატებით მახასიათებლად გამოვლინდა მასში მეთილანტრანილატის არსებობა.

**პრაქტიკული დირებულება.** კვლევის შედეგები-დადგენილი ჯიშური სიწმინდის მაჩვენებლები მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას არსებულ მაჩვენებლებთან ერთად ნატურალურ წითელ დვინოებში ჯიშური სიწმინდის დასადგენად. ამასთანავე კვლევის შედეგად დადგენილი ანტოციანთა ქრომატოგრაფიული პროცესი მნიშვნელოვანი მეცნიერული საბაზისო მონაცემია წითელ დვინოებში ჯიშური სიწმინდის დასადგენად.

**კვლევითი სამუშაოს აპრობაცია.** ექსპერიმენტის მიმდინარეობის და შედეგების შესახებ მასალები წარედგინებოდა მებაღე, მევენახეობისა და მედვინეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს კვლევის შედეგები ასახულია 7 სამეცნიერო ნაშრომის სახით.

**სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.** სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია კომპიუტერზე ნაბეჭდი 132 გვერდით; მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, ექსპერიმენტალურ ნაწილს, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს და დანართს. სადისერტაციო ნაშრომში განთავსებულია 17 ცხრილი და 40 ნახაზი.

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა

### 1.1. ლიტერატურის დადგენის ზოგიერთი მეთოდური საფუძველი

დღეისათვის არსებული სამეცნიერო კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, ლიტერატურობის დადგენილი იქნეს სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით, რომლებიც პირდაპირ აისახება ლიტერატურის ხარისხზე. ნატურალური, მაღალხარისხოვანი ლიტერატურის ტექნოლოგიების დასაცავად მეცნიერთა მიერ შემუშავებულია რიგი მეთოდები. ლაშხის და თანაავტ. მიერ (1966) დადგენილი იქნა ლიტერატურობის და პროლინის ურთიერთკავშირი. კერძოდ, სუფრის მშრალი ლიტერატურის დამუშავების შემდეგ ყოველთვის შეიცავს ამინომჟავა პროლინს 200 მგ/ლ-ზე მეტი რაოდენობით. ჭაჭის გარეშე, საქართვას დადუღების შედეგად მიღებული ლიტერატურის შეიცავს პროლინს. ყურძნის წვენით საკმაოდ შესველებულ ჭაჭაზე დადუღებული საქართვის ხსნარი კი არასოდეს შეიცავს 200 მგ/ლ-ზე მეტ პროლინს. ავტორთა მიერ შემუშავებული მეთოდის მიხედვით ლიტერატურის დადგენის ნატურალურობის დადგენის მეთოდს ტიროზოლის (ალკოჰოლური დუღილის პროცესში ამინომჟავა ტიროზოლის გარდაქმნის პროდუქტი) შემცველობის საფუძველზე. ყურძნის ნატურალურ ლიტერატურის ტიროზოლის რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2 მგ/ლ (მუჯირი და სხვ. 1994; გულიაშვილი, 1995).

ფიზიკო - ქიმიური მაჩვენებლების ცვლილებანი იქნა დადგენილი კახური ტიპის ღვინის ფალსიფიკაციისას. ფალსიფიკაციის ვარიანტად გამოყენებული იყო დურდოზე შემჟავებული საქართვის წყალსნარის დადუღება. ავტორთა მიერ დადგინდა მრავალრიცხოვანი ქიმიური ნაერთების ცვლილება ფალსიფიკაციის შედეგად, მათ შორის პროლინის მკვეთრი შემცირება 220 მგლ-დან 12 - 18 მგ/ლ-მდე და 204 მგ/ლ-დან 8 - 10 მგ/ლ-მდე. გამოკვლევის შედეგად ავტორები ასკვნიან, რომ ფალსიფიკაციის ფაქტის დადგენა კახური ტიპის ღვინოში გარანტირებული არ არის მხოლოდ ანალიზის ფიზიკო - ქიმიური მეთოდებით. ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყურძნის გადამუშავების მთლიანი პროცესის მკაცრი კონტროლი (ბალათურია და სხვ. 2005).

მოლდაველი მეცნიერების მიერ (სკორბანოვა და სხვ. 2005) შემუშავებულია მეთოდიკა ღვინის ნატურალურობის დასადგენად. ფალსიფიკაციის დასაფიქსირებლად ისინი იყენებენ სინთეზური საღებავის, მალვიდინ - 3,5 - დიგლუკოზიდის განსაზღვრას; ამასთანავე განიხილავენ ყურძნის ღვინის ფალსიფიკაციას ვაშლისაგან დამზადებული ღვინის შერევით. ამისათვის მიმართავენ ვაშლმჟავა-რძემჟავური დუღილის პროცესს და ამტკიცებენ, რომ ვაშლის ღვინოებისათვის შეფარდება ( $C_{\text{ღვინის მჟავა}} : C_{\text{ვაშლის მჟავა}} : 2C_{\text{რძემჟავა}}$ ) მნიშვნელოვნად ნაკლებია 1-ზე ( $0,5 - 0,6$ ), ხოლო ყურძნის ღვინოში აღნიშნული შეფარდება მეტია 1-ზე ( $1 - 3$ )-ის ინტერვალში, ავტორები აღნიშნავენ, რომ მჟავათა დადგენილი თანაფარდობა დამოუკიდებლად ვერ იძლევა ღვინის ნატურალურობის სრულ გარანტიას შემდეგი ფაქტორების გამო: ყურძნის ღვინოებზე ვაშლის ღვინის შერევისას დადგენილი ზღვრები იცვლება და საკითხი საკამათო ხდება; ღვინის წარმოების ტექნოლოგიურმა პროცესებმა შეიძლება დაარღვიონ ორგანულ მჟავათა თანაფარდობა; კონდიციურად არამწიფე ყურძნის შერევა ცვლის აღნიშნულ სიდიდეს. აქედან გამოდინარე ავტორებმა ყურადღება შეაჩერეს ნატურალურობის დამატებითი

მაჩვენებლის დადგენაზე, კერძოდ უმაღლესი სპირტების ინტერვალში. ვაშლის ღვინოებში ყურძნის ღვინოებთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობით აღმოჩნდა 2-ბუთანოლი, ნ-ბუთანოლი და ჰექსანოლი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავება უმაღლესი სპირტების მოხედვით ვლინდებოდა ფალსიფიცირებულ ყურძნის ღვინოში მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კუპაჟში ემატებოდა 15%-ზე მეტი ვაშლის ღვინო. ავტორებმა ამის შემდეგ გამოიყენეს თანაფარდობა მეთილეთილმარმქავა/იზოვალერიანის მჟავა. ყურძნის ღვინოებში ეს თანაფარდობა მერყეობს 0,13 - 0,65 ინტერვალში, ხოლო ვაშლის ღვინოებში 5 - 10 - ჯერ მეტია. ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ 10%-დან და მეტი ვაშლის ღვინის დამატებისას ყურძნის ღვინოში, ეს მაჩვენებელი ითვლება მახასიათებლად. ასე, რომ ავტორების აზრით, ღვინის ნატურალურობის დასადგენად საჭიროა კომპლექსური მაჩვენებლების განსაზღვრა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გამოიხატება რიგი არამქროლავი და მქროლავი კომპონენტების ინდივიდუალური და თანაფარდობითი სიდიდეებით.

ღვინის ფალსიფიკაციის დასადგენად უკრაინელი მკვლევარები ეფექტურად მიიჩნევენ კომპლექსურ მიდგომას. იგი აისახება რამდენიმე მიმართულების მიხედვით ჩატარებულ კვლევაში:

საწყისი ეტაპი – ორგანოლეპტიკური შეფასება:

I მიმართულება – ანუ ნატურალურობის ინდიქსი. მოიცავს კათიო- ნერანიონური შემადგენლობის განსაზღვრას კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, ნატრიუმის, ქლორიდების და სულფატების სახით; ფიზიკურ - ქიმიურ დახასიათებას სიბლანტის, ელექტროგამტარობის, pH-ის განსაზღვრით.


II მიმართულება – ანუ ჯიშურობის მაჩვენებელი. მოიცავს არომატურმომქმნელი კომპონენტების განსაზღვრას. ესენია: ტერპენული სპირტები, რთული ეთერები, ალფა-იდენტი, უმაღლესი სპირტები. ამათთან ერთად ფენოლურ ნაერთთა მონომერული, პოლიმერული ფორმების და მალვიდინ - 3,5 - დიგლუკოზიდის განსაზღვრას.

III მიმართულება – დავარგების ინტეგრალური მაჩვენებელი. იგი მოიცავს ფერის ინტენსივობას და „ქიმიური ასაკის“ ინდექსის განსაზღვრას, ფენოლურ ნაერთთა დაუანგული ფორმების განსაზღვრას.

IV მიმართულება – დვინოში აკრძალული შესატანი ნივთიერებების დადგენას. ესენია: სინთეზური საღებავი, გლიცერინი, ორგანული მჟავები (ანიკინა, 2008).

## 1.2. ყურძნის და ლვინის ანტოციანების და პროანტოციანიდინების ზოგადი დახასიათება

ყურძნის და ლვინის ძირითადი ანტოციანების და მათი ეთერული ფორმების სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით (კენედი, 2008).





ციანიდინის მონოგლუკოზიდი:  $R_1 - OH$ ,  $R_2 - H$

კეონიდინის მონოგლუკოზიდი:  $R_1 - OCH_3$ ,  $R_2 - H$

დელფინიდინის მონოგლუკოზიდი:  $R_1 - OH$ ,  $R_2 - OH$

კეტუნიდინის მონოგლუკოზიდი:  $R_1 - OCH_3$ ,  $R_2 - OH$

მალვიდინის მონოგლუკოზიდი:  $R_1 - OCH_3$ ,  $R_2 - OCH_3$



სპაიდის და თანაავტორთა მიერ (2002) დადგინდა ტემპერატურის გავლენით გამოწვეული ანტოციანთა ცვლილება მერლოს ჯიშის ყურდენში. ექსპერიმენტი ჩატარდა ჩვ. პირობებში (საკონტროლო), მზიან და ჩრდილიან ადგილზე გაშენებულ ვენახის ყურძენზე. საკონტროლოსთან შედარებით ანტოციანთა საერთო რაოდენობამ 349 მგ/სმ<sup>2</sup>-დან მოიმატა 436,2 მგ/სმ<sup>2</sup>-მდე, ხოლო ჩრდილში შემცირდა 321,3 მგ/სმ<sup>2</sup>-დან 228,9 მგ/სმ<sup>2</sup>-მდე. მზიან ადგილზე ცალკეული ანტოციანების ცვლილებამ შეადგინა შემდეგი: დელფინიდინის მონოგლუკოზიდი 60,1 - 83,9; ციანიდინის მონოგლუკოზიდი 17,9 - 31,7; პეტუნიდინის მონოგლუკოზიდი 39,3 - 51,8; პეონიდინის მონოგლუკოზიდი 31,1 - 49,3; მალვიდინის მონოგლუკოზიდი 96,7 - 107,2; დელფინიდინის მონოგლუკოზიდი - აცეტატი 11,5 - 13,3; ციანიდინის მონოგლუკოზიდი - აცეტატი 4,4 - 5,3; პეტუნიდინის მონოგლუკოზიდი-აცეტატი 10,5 - 11,9; პეონიდინის მონოგლუკოზიდი-აცეტატი 7,57 - 8,63; მალვიდინის მონოგლუკოზიდი-აცეტატი 32,1 - 33,4. დელფინიდინის ციანიდინის მონოგლუკოზიდი-კუმარატი 6,1 - 7,27; პეტუნიდინის მონოგლუკოზიდი - კუმარატი 7,0 - 7,0; პეონიდინის/მალვიდინის მონოგლუკოზიდი - კუმარატი 25,0 - 25,7. ზემოაღნიშნულ ნაერთთა ცვალებადობა ჩრდილის გავლენით, შესაბამისი თანმიმდევრობით მერყეობს შემდეგ ფარგლებში: 59,9 - 29,8; 16,8 - 7,5; 37,3 - 20,6; 29,8 - 17,2; 84,0 - 68,1; 12,0 - 6,3; 4,2 - 2,1; 10,3 - 0,1; 7,37 - 5,6; 28,5 - 29,8; 5,53 - 5,13; 5,33 - 4,67; 20,3 - 25,0. მონაცემებიდან ცხადია არაერთგვაროვანი ცვალებადობა. მაგ.: მალვიდინის და პეონიდინის კუმარატები მზიან ადგილზე რაოდენობრივად იმატებს 0,5-ით, ხოლო ჩრდილში შემცირების ნაცვლად იზრდება 20,3-დან 25,0-მდე. აქ მოყვანილია 1 წლის მონაცემები, განმეორბითი ცდის (მე-2 წელს) მიხედვით აღნიშნული კუმარატები მზიან ადგილზე მცირდება 28,7-დან 22,8-მდე, ხოლო ჩრდილში მატულობს 25,8-დან 44,1-მდე. რაც შეეხება მალვიდინის აცეტატს, ორივე წელს დაფიქსირდა მისი რაოდენბრივი მატება ჩრდილიან ადგილზე.

გამოკვლეული იქნა ურუგვაის, კალიფორნიის და კანადის წითელყურ-მნიანი ჯიშების ყურძნის წევნი და ღვინოები. ცნობილი ანტოციანების გვერდით აღმოჩნდა ანტოციანთა წარმოებულები, რომლებიც იდენტიფი-ცირდება შემდეგი ნაერთების სახით: პეტუნიდინ-3-გლუკოზიდი-8-ეთილკატე-ბინი; მალვიდინ-3-გლუკოზიდი-8-ეთილკატებინი; მალვიდინ-3-გლუკოზიდი-4-ვინილკატებოლი; მალვიდინ-3-(n-კუმაროილ) გლუკოზიდი-8-ეთილკატებინი; მალვიდინ-3-გლუკოზიდი-4-ვინილგვაიაკოლი (მედინა და სხვ. 2006).

ბელიაკოვას მიერ (2007) შესწავლილია აგროტექნიკური ღონისძიებების გავლენა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების დაგროვებაზე კრას-ნოდარის მხარეში გვრცელებულ წითელყურმნიან ჯიშებსა და მათგან დამზადებულ ღვინოებში. ავტორს გამოკვლეული აქვს ფენოლური ნა-ერთები, ვიტამინები, ამინომჟავები. ანტოციანებს შორის განსაზღვრულია მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი, რომელსაც ავტორის მიერ პერსპექ-ტიულად მიჩნეული ჯიშისგან დამზადებული ღვინომასალა 28,3 მგ/ლ რაოდენობით შეიცავს, მაშინ, როდესაც იგივე ექსპერიმენტში შესადა-რებლად აღებულ დასავლეთ-ევროპული ჯიშების ღვინომასალებში მალვიდინის დიგლუკოზიდის რაოდენობა შეადგენს 8,2 მგ/ლ. უნდა აღ-ინიშნოს ამავე ავტორის მიერ დადგენილი აგროტექნიკური ღონისძიებების გავლენა კაბერნეს ჯიშის ყურძენსა და ღვინოზე ბიოაქტიური ნა-ერთების დაგროვების თვალსაზრისით. მას განსაზღვრული აქვს მალ-ვიდინის დიგლუკოზიდის რაოდენობა, რომელიც აღნიშნული ფაქტორების გავლენის მიხედვით მერყეობს 1,9 - 11,7 მგ/ლ ფარგლებში. ავტორი მის მიერ გამოკვლეული პერსპექტიული ჯიშებიდან რეკომენდაციას აძ-ლევს რამდენიმე ჯიშს, ენოთერაპიული მიზნებით გამოსაყენებლად და მათში მალვიდინის დიგლუკოზიდის დიდი რაოდენობით დაგროვებას მიიჩნევს ჯიშის სპეციფიკურ თავისებურებად.

ჯონსტონის და თანაავტორის მიერ (1996) გამოკვლეულია კაბერნე სოვინონის და *Vitis rotundifolia*-ს წარმომადგენლის Noble-ს ყურძნის


და წითელი ღვინოების და ანტოციანები და აცეტალდეპიდის გავლენით წარმოქმნილი პოლიმერული ანტოციანები. ანტოციანიდინებიდან დაფიქსირებულია დელფინიდინი, ციანიდინი, პეტუნიდინი, პეონიდინი, მალვიდინი. კაბერნეს და ნობლეს ყურძენში დომინირებენ მალვიდინი და დელფინიდინი, ისინი ასევე კონცენტრირებულნი არიან ღვინის ანტოციანურ პოლიმერში. აცეტალდეპიდის გავლენით წარმოქმნილი ნობლეს ღვინის ანტოციანურ პოლიმერში დომინირებს დელფინიდინი, ხოლო კაბერნეს ღვინის შემთხვევაში – მალვიდინი.

წითელი ღვინიდან გამოყოფილია ლურჯი ფერის ანტოციანების ახალი ჯგუფი, როგორც ანტოციანი-პიროყურძენმჟავის და ვინილ-ფლავანოლის ნაწარმები (მათეუსი და სხვ. 2003). მუნოზ-ესპადას და თანა-ავტორთა მიერ (2004) გამოკვლეულია წითელყურძნიანი ჯიშების – მარებალ ფოჩი, ნორტონი და კონკორდი – და მათი ღვინოების ანტოციანები. აღნიშნული ჯიშებიდან ანტოციანებით ყველაზე მდიდარია ნორტონი, მისი ყურძენი შეიცავს  $888 \pm 78$  მგ/100 გ საერთო ანტოციანებს. ანტოციანთა შორის, როგორც ყურძენში, ასევე ღვინოში იდენტიფიცირებული და რაოდენობრივად განსაზღვრულია მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი. ყურძენში მისი რაოდენობა შეადგენს: მარებალ ფოჩისთვის – 9,2 მგ/100გ; ნორტონისთვის 101მგ/100 გ; 2,0 მგ/ლ; 58 მგ/ლ და 5,0 მგ/ლ.


წითელ ღვინოებში იდენტიფიცირებულია დიმერული ანტოციანები და ოლიგომერული პიგმენტები. ოლიგომერულში დაფიქსირებულია ეპიკატებინი, ეპიგალოკატებინი ანუ ფლავანოლ-ანტოციანური ოლიგომერული ნაერთები ( $F-A-A^+$ ), სადაც ფლავანოლები დაკავშირებულია დიმერულ ( $A-A^+$ ) ანტოციანებთან (ალქალდე-ეონი და სხვ. 2007).

პორტუგალიელი მეცნიერების მიერ (მათეუსი და სხვ. 2004) ჩატარდა მნიშვნელოვანი გამოკვლევა წითელ ღვინოებში ლურჯი ანტოციანების ე.წ. პირანოანტოციანების იდენტიფიცირების და განსაზღვრის

მიზნით. პირანოანტოციანების ზოგადი სტრუქტურა და თითოეული წარმომადგენლის შედგენილობა მოცემულია ქვემოთ (ცხრ.1.2.1):



იგივე ავტორთა მიერ შემაგრებულ წითელ დგინოებში იდენტიფი-  
ცირდა შემდეგი სტრუქტურის პირანოანტოციანები:



**პირანოანტოციანების ფუნქციონალური ჯგუფები**

პირანო - ანტოციანი	R <sub>1</sub>	R <sub>2</sub>	R <sub>3</sub>	R <sub>4</sub>
1	OMe	OMe	COOH	H
2	OMe	OH	COOH	აცეტილი
3	OMe	OMe	COOH	აცეტილი
4	OMe	OH	COOH	კუმაროილი
5	OMe	OMe	COOH	კუმაროილი
6	OMe	H	COOH	კუმაროილი
7	OH	OH	COOH	H
8	OH	OH	COOH	აცეტილი
9	OMe	OMe	ვინილ - (+)კატეინი - (+)კატეინი	H
10	OMe	OMe	ვინილ - პროციანიდინდიმერი	აცეტილი
11	OMe	OMe	ვინილ - (+)კატეინი	H
12	OMe	OMe	ვინილ - (+)კატეინი	აცეტილი
13	OMe	OMe	ვინილ - (+)ეპიკატეინი - (+)კატეინი	კუმაროილი
14	OMe	OMe	ვინილ - (+)ეპიკატეინი	H
15	OMe	OMe	ვინილ - (+)კატეინი	კუმაროილი
16	OMe	OMe	ვინილ - (+)ეპიკატეინი	კუმაროილი
17	OMe	OMe	ვინილფენოლი	H
18	OMe	OMe	ვინილფენოლი	კაფეილი
19	OMe	H	ვინილფენოლი	კუმაროილი
20	OMe	OMe	ვინილფენოლი	კუმაროილი
21	OMe	OMe	ვინილფენოლი	აცეტილი

### პირანოანტოციანების შედგენილობა

პირანო-ანტოციანი	<b>R<sub>1</sub></b>	<b>R<sub>2</sub></b>	<b>R<sub>3</sub></b>	<b>R<sub>4</sub></b>
1	OMe	OMe	გლუკოზა	პროციანიდინ - დიმერი (PC)
2	OMe	OMe	კუმაროილ გლუკოზა	პროციანიდინი
3	OMe	OMe	გლუკოზა	კატენინი
4	OMe	OMe	კუმაროილ გლუკოზა	კატენინი
5	OMe	OMe	გლუკოზა	ფენოლი
6	OMe	OH	გლუკოზა	კატენინი
7	OMe	H	გლუკოზა	კატენინი
8	OMe	OMe	აცეტილ გლუკოზა	კატენინი


წითელყურძნიან ჯიშებსა და მათ დგინოებში ძირითადი ანტოციანების (ანტოციანიდინების მონოგლუკოზიდების) გვერდით, მათი წარმოებულების გამოკვლევა ყოველთვის იმსახურებდა დიდ ყურადღებას. კვლევის შედეგად დადგინდა აცეტალდეპტიდის ფაქტორით წარმოქმნილი ანტოციან-ფლავონოლების კომპლექსური წარმოებულები (სომერსი, 1971; ურდი, 1969; ლიაო და სხვ. 1992; რემი და სხვ. 2000; ბაკერი და სხვ. 1993; როკას-გონზალო და სხვ. 1995; ტიმბერლაკი და სხვ. 1976 მათეუსი და სხვ. 2002; 2003). პიროვნეულებულების და ანტოციანთა ურთიერთქმედების პროდუქტები (ბაკერი და სხვ. 1997ა; 1997ბ; ფულკრანდი და სხვ. 1998; რომერო და სხვ. 1999; მათეუსი და სხვ. 2001ა; 2001ბ). ანტოციანთა წარმოებულები ვინილფენოლთან, ვინილკატენოლთან, 4-ვინილგვაიაკოლთან, α-კეტოგლუტარის მჟავასთან და აცეტონთან (კამეირა დოს სანტოსი და სხვ. 1996; ფულკრანდი და სხვ. 1996; შვარზი და სხვ. 2003; ჰაიასაკა და სხვ. 2002; ბენაბდელუალილი და სხვ. 2000; ლუ და სხვ. 2001).

მათეუსის და ონაავტორთა მიერ (2004) წითელ ყურძნება და სხვა ხილში განისაზღვრა პირანოანტოციანები ანტოციანებთან ერთად. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში 1.2.3.

### ზოგიერთი ხილის ანტოციანები და პირანოანტოციანები

ობიექტი	ანტოციანი	პირანოანტოციანი
ურძენი	მალვიდინ-3-კუმაროილ-გლუკოზიდი	მალვიდინ-3-კუმაროილგლუკო-პირანოზიდი; ვინილპირანო მალვიდინ-3-კუმაროილგლუკო-ზიდ-კატებინი
მაყვალი	ციანიდინ-3-გლუკოზიდი	ციანიდინ-3-გლუკოპირანოზიდი; ვინილპირანოციანიდინ-3-გლუ-კოზიდი-კატებინი
ანწლი	ციანიდინ-3-სამბუბიოზიდი	ციანიდინ-3-სამბუბიოზიდპირა-ნოზიდი; ვინილპირანოციანიდ-ინ-3-სამბუბიოზიდი-კატებინი
მოცვი	ციანიდინ-3-არაბინოზიდი	ციანიდინ-3-არაბინოზიდ-პირა-ნოზიდი; ვინილპირანოციანიდ-ინ-3-არაბინოზიდ-კატებინი
მოცვი	მალვიდინ-3-არაბინოზიდი	მალვიდინ-3-არაბინოზიდი-პირა-ნოზიდი; ვინილპირანომალვი-დინ-3-არაბინოზიდ-კატებინი
ბალი	ციანიდინ-3-რუთინოზიდი	ციანიდინ-3-რუთინოზიდ-პირა-ნოზიდი; ვინილპირანო-ციანიდ-ინ-3-რუთინოზიდ-კატებინი

მალვიდინ-3-გლუკოზიდის და პიროვურძენმჟავის ურთიერთქმედებით წარმოიქმნება ვიტისინი A (ფულკრანდი და სხვ. 1998), ხოლო ამავე ანტოციანის და აცეტალდეპიდის ურთიერთქმედებით – ვიტისინი B (ბე-იკერი და სხვ. 1997). აღნიშნული ურთიერთქმედებები ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით (სქემა 1.2.1).



სქემა 1.2.1. მალვიდინ-3-გლუკოზიდის წარმოებულების მიღება.

როსოუს და თანაავტორის მიერ (2004) სამხრეთ აფრიკულ დეინო-ებში, რომლებიც დამზადებული იყო პინოტაგის, შირაზის და კაბერნე სოვინიონის ჯიშებიდან, განისაზღვრა ფენოლური ნაერთები – მათ შორის ანტოციანები: დელფინინის, ციანიდინის, პეტუნიდინის, პეონიდ-

ინის და მაღვიდინის მონოგლუკოზიდები; ასევე მათი აცეტატები, კუმარატები და ვიტისინი A. შედეგები მოცემულია ცხრილის 1.2.4-ის სახით.

ცხრილი 1.2.4

### ანტოციანების შემცველობა (მგ/ლ) სამხრეთ აფრიკულ

#### წითელ ღვინოებში

№	ანტოციანის დასახელება	შირაზის ღვინო	პინოტაგის ღვინო	კაბერნე სოვინიონის ღვინო
1	დელფინიდინ-3-გლუკოზიდი	8,62	9,28	11,39
2	ციანიდინ-3-გლუკოზიდი	1,24	1,31	1,54
3	პეტუნიდინ-3-გლუკოზიდი	13,86	13,57	11,38
4	პეონიდინ-3-გლუკოზიდი	8,98	6,39	6,13
5	მალვიდინ-3-გლუკოზიდი	107,41	101,99	97,50
6	დელფინიდინ-3-გლუკ-აცეტატი	3,10	3,24	4,00
7	პეტუნიდინ-3-გლუკ-აცეტატი	5,02	4,68	5,51
8	პეონიდინ-3-გლუკ-აცეტატი	5,84	3,48	3,30
9	მალვიდინ-3-გლუკ-აცეტატი	34,75	27,34	38,33
10	დელფინიდინ-3-გლუკ-კუმარატი	2,79	1,77	1,52
11	პეტუნიდინ-3-გლუკ-კუმარატი	5,09	2,77	2,70
12	პეონიდინ-3-გლუკ-კუმარატი + მალვიდინ-3-გლუკ-კუმარატი	24,54	12,89	11,81

ანტოციანების განსაზღვრას მრავალრიცხოვანი შრომები მიეძღვნა რიგ ქვეყნებში (ვალუიკო, 1969ა; 1969ბ). მათ შორის საქართველოშიც საქართველოში ყურძნისა და ღვინის ანტოციანების გამოკვლევა დაწყებულია ს.დურმიშიძის ხელმძღვანელობით. *Vitis vinifera*-ს წარმომადგენელი ჯიშების ყურძნის კანიდან იდენტიფიცირებული იქნა ძირითადი ანტოციანები, რომელთა შორის დომინანტი აღმოჩნდა მალვიდინის მონოგლუკოზიდი. იდენტიფიცირდა შემდეგი: დელფინიდინ-3-გლუკოზიდი, ციანიდინ-3-გლუკოზიდი, პეტუნიდინ-3-გლუკოზიდი, მალვიდინ-3-გლუკო-

ზიდი, პერნილინ-3-გლუკოზიდი და მათთან ერთად მათი აცილირებული ფორმები. აცილირებული ანტოციანები ძირითადად p-კუმარის, ფერულის და ყავის მჟავების წარმოებულებია (დურმიშიძე, 1955; დურმიშიძე და სხვ. 1958; 1963; 1983; სოფრომაძე, 1973; 1974).

ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგები არ შეესაბამებოდა რიბერო-გაიონის დასკვნას იმის შესახებ, რომ მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი შეიძლება მიჩნეულიყო ტაქსონომიურ ნიშნად ევროპული წითელყურძნიანი ჯიშებისა და ამერიკული – პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდულ ფორმებს შორის. ვინაიდან მისი კვლევების შედეგად ეს ნაერთი არ დაფიქსირდა ევროპულ ჯიშებში, ხოლო ჰიბრიდული ფორმების ანტოციანებში მას დომინანტი აღგილი ეკავა. ამის საწინააღმდეგოდ დურმიშიძის და თანაავტორთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად მალვიდინის-დიგლუკოზოდი აღმოჩნდა ვაზის ტექნიკურ ჯიშებშიც – ასურეთული შავი, წითელი ბუდეშური, ალეატიკო, ხოლო საფერავში დაფიქსირდა პეტუნიდინის დიგლუკოზიდი. ევროპულ ჯიშებში დიგლუკოზიდების შემცველობაზე მიუთითებს ასევე სხვა ავტორთა მონაცემები (კიშკოვსკი, სკურიხინი, 1976). მიუხედავად იმისა, რომ მალვიდინის დიგლუკოზიდს ვაზის ევროპული ჯიშებიც შეიცავს, პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდულ ფორმებსა და ევროპულ ჯიშებს შორის უდიდესი განსხვავებაა აღნიშნული ნაერთის რაოდენობრივი შემცველობის თვალსაზრისით: ევროპული ვაზის ჯიშების ანტოციანთა შორის დომინანტია მალვიდინ-3-გლუკოზიდი, ხოლო პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმების ანტოციანთა შორის კი მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი (დურმიშიძე, ხაჩიძე, 1979; ვალუიკო, 1973; როდოპულო, 1971).

ანტოციანების გამოკვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წითელი და გარდისფერი დვინოების ხარისხობრივი შეფასებისათვის. აქედან გამომდინარე ეს საკითხი ყოველთვის იმსახურებს ავტორთა ყურადღებას. ბეჭუაშვილის და ქვლივიძის მიერ (2005) გამოკვლეულია

კახეთის რაიონებში გავრცელებული საფერავის ყურძნის კანის და რბილობის, ასევე შესაბამისი სუფრის მშრალი ღვინომასალების საღებავი ნივთიერებები. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილების სახით:

ცხრილი 12.5

**საღებავი ნივთიერებების შემცველობა კახეთის სხვადასხვა  
რაიონებში გავრცელებულ ვაზის ჯიშ საფერავის  
ყურძნის კანსა და რბილობში**

რაიონები	საღებავი ნივთიერებები	
	კანი, %	რბილობი, მგ/ლ
ხაშმი	5,80	116,00
სიღნაღი (სოფ. ანაგა)	5,30	230,00
გურჯაანი (სოფ. ბაგურციხე)	5,50	100,00
თელავი (სოფ. ხოდაშენი)	4,50	105,70
ახმეტა (სოფ. ქისტაური)	4,50	63,40
ყვარელი	5,00	120,00
ლაგოდეხი (სოფ. ბაისუბანი)	5,30	120,00

ცხრილი 12.6

**საღებავი ნივთიერებების შემცველობა კახეთის სხვადასხვა რაიონებში  
გავრცელებულ ვაზის ჯიშ საფერავისგან დამზადებულ სუფრის  
მშრალ ღვინომასალებში (მგ/ლ)**

რაიონები	საღებავი ნივთიერებები, მგ/ლ	
	6 თვიანი	9 თვიანი
ხაშმი	741,70	587,50
სიღნაღი (სოფ. ანაგა)	643,70	643,00
გურჯაანი (სოფ. ბაგურციხე)	722,40	700,00
თელავი (სოფ. ხოდაშენი)	533,30	475,00
ახმეტა (სოფ. ქისტაური)	583,00	525,00
ყვარელი	643,00	643,00
ლაგოდეხი (სოფ. ბაისუბანი)	682,80	675,00

ანტოციანთა ტექნოლოგიური მარაგი საქართველოში გავრცელებულ წითელყურძნიან ჯიშებში ებედლაშვილის მონაცემებით (2006) შემდეგია: საფერავის ყურძენში (საგარეჯოს, გურაჯაანის, თელავის, ყვარლის რ-ში) 2100-2340 მგ/დმ<sup>3</sup>; თავკვერის ყურძენში (ვაშლიჯვარი, სკრა) 760-875 მგ/დმ<sup>3</sup>; ასურეთული შავი (სოფ. ასურეთი, ვაშლიჯვარი) 630-540 მგ/დმ<sup>3</sup>; შავკაპიტო (სკრა) – 572 მგ/დმ<sup>3</sup>.

უკრაინის ყურძნის და ღვინის ეროვნულ ინსტიტუტში (მაგარაჩი) შესრულებულია საინტერესო გამოკვლევა წითელყურძნიანი ყინვაგამძლე სელექციური ჯიშის „კრასენის“ ღვინომასალის ბიოლოგიური აქტივობის შესახებ. რომ ამ ღვინომასალში მაღვიდინის მონოგლუკოზიდთან ერთად დიდი რაოდენობით არის მაღვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი (700 მგ/ლ), რომელიც შეადგენს საერთო ანტოციანების 50%-ს, „კრასენის“ ღვინომასალას აღმოჩნდა ანტიოქსიდანტური, სტრეს-პროტექტორული აქტივობანი; ჰიპოქოლესტეროლემიური და ანტიათეროგენული მოქმედება. ბიოლოგიური აქტივობის მიხედვით „კრასენის“ ღვინო ისეთივე ეფექტურია, როგორც კაბერნე სოვინიონის. იგი ბოჭავს თავისუფალ რადიკალებს და მათგან გამოწვეულ დაჟანგვას, ანორმალირებს ღვიძლის და სისხლის ფერმენტების აქტივობას, აქვეითებს ათეროსკლეროზის განვითარებას და საერთოდ დადებითად მოქმედებს მთელ ორგანიზმზე. „კრასენის“ ღვინომასალა ხასიათდება მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით, რითაც არ ჩამორჩება კაბერნე სოვინიონის ღვინომასალას და მისგან დამზადებულ პოლიფენოლურ კომპლექსს - „ენოანტს“. ავტორები ასკვნიან, რომ „კრასენის“ ღვინომასალის და მისი კონცენტრატის მიღებისას, მის დადებით ეფექტები - ცალკეული ორგანოების და მთელი ორგანიზმის ფუნქციონირებაზე - მაღვიდინის დიგლუკოზიდის დიდი რაოდენობით არსებობა არ ახდენს უარყოფით გავლენას (ვოლინკინი და სხვ. 2008).

მაგარაჩის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთებზე გავრცელებულ ჯიშებში – კაბერნე სოვინიონი და პიბრიდულ ჯიშებში (*Vitis vinifera* და *Vitis Labrusca*) – მოლდოვა, გოლუბოკი, ვილარნუარი და იზაბელა – გამოკვლეულია მალვიდინის დიგლუკოზიდის შემცველობა ავტორთა მიერ შემუშავებული მეთოდით (სლასტია და სხვ. 2005). შედეგები ყურძნის ახალ კანზი ასეთია: კაბერნე სოვინიონი – 0; მოლდოვა –  $1,6 \pm 0,3 \cdot 10^3$  მგ/კგ; გოლუბოკი –  $7,5 \pm 1,1 \cdot 10^3$  მგ/კგ; ვილარ ნუარი –  $3,2 \pm 0,6 \cdot 10^3$  მგ/კგ; იზაბელა –  $0,5 \pm 0,1 \cdot 10^3$  მგ/კგ. ე.ი. მალვიდინის დიგლუკოზიდს ყველაზე მცირე რაოდენობით შეიცავს იზაბელას მარცვლის კანი.

ურუგვაის წითელყურძნიან ჯიშებში – RGS მედიუმი და ტანატი განსაზღვრული ანტოციანთა რაოდენობა საერთო ჯამში შემდეგია: მალვიდინის მონოგლუკოზიდი – 49% და 51%; ციანიდინის მონოგულოკოზიდის – 9% და 9,5%; დელფინიდინის მონოგლუკოზიდის – 4% და 4,5%; პერნოდინის მონოგლუკოზიდის 2% და 5%; აცილირებული ანტოციანები ძირითადად წარმოდგენილია აცეტატების და კუმარატების სახით და შესაბამისად შეადგენს 39% და 30% (მედინა და სხვ. 2005).

წითელი ყურძნის კანის და ახალგაზრდა დვინის შეფერვის ინტენსივობას განაპირობებს ანტოციანთა გლიკოზიდური ფორმები და აცილირებული ნაწარმები. დვინის დაძველებასთან ერთად ეს ფორმები მცირდება, რაც იწვევს ფერის ინტენსივობის შეცვლას. ანტოციანთა ცვლილება გამოწვეულია მათი დაუანგვით, პოლიმერიზაციის და კონდენსაციის რეაქციებში მონაწილეობით, ფენოლურ ნაერთებთან და მეტალებთან ურთიერთქმედების შედეგად კომპლექსური ნაერთების წარმოქმნით. დაძველებული დვინის შეფერვას ძირითადად განაპირობებს ანტოციანთა კომპლექსური ფორმები (გარეკი და სხვ. 1965). რიბერო-გაიონის გამოკვლევებით (1965, 1968) ფრანგულ დაძველებულ წითელ დვინებში ანტოციანთა ინდივიდუალური ფორმები ქრება და დვინის შე-

ფერვას განაპირობებს ანტოციანთა კონდენსაციის, პოლიმერიზაციის და ჰიდროლიზის პროდუქტები.

ანტოციანთა კომპლექსის წარმოქმნა სხვა ფენოლურ ნაერთებთან დიდ ინტერესს იწვევს მკვლევართა შორის. ტანინ-ანტოციანების კომპლექსის წარმოქმნა წითელ ღვინოებში შესწავლილია რიგი მეცნიერების მიერ (ვალუიქო, 1973; კატანია, 2006; გლორესი, 1984; პოშინო და სხვ. 1980). ტანინ-ანტოციანური კომპლექსი ხასიათდება მუქი ლალისფერი შეფერვით და შთანთქმის მაქსიმუმია 520-530 ნმ. აღნიშნული კომპლექსის წარმოქმნა დადგენილია ასევე სომერსის გამოკვლევებით (1966; 1967). ანტოციანები კომპლექსურ ნაერთებს წარმოქმნიან ასევე კატეხინებთან, დიმერულ და ტრიმერულ პროანტოციანებთან, რომელსაც ადასტურებს ტიმბერლაკის გამოკვლევები (1976).

ღვინის დაძველების პროცესში ანტოციანები მონაწილეობენ რა უანგგა-ალდგენით რეაქციებში, თანდათანობით იუანგებიან, კონდენსირდებიან და გამოიყოფიან ნალექის სახით. ანტოციანები მთლიანად კონდენსირდებიან აცეტალდეპიდთან, მაგრამ უფრო სწრაფად და ნაწილობრივ მთრიმლავ ნივთიერებებთან. აცეტალდეპიდთან კონდენსაციის რეაქციაში განსაკუთრებით ადვილად შედის მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი, ვიდრე მალვიდინის მონოგლუკოზიდი. აქედან გამომდინარე, წითელ ღვინოში ყავისფერი შეფერვის წარმოქმნაზე მეტად დიდია მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდის გავლენა (რობინსონი და სხვ. 1966; კაროგლიო, 1968).

ანტოციანები მეტალთა იონებთან წარმოქმნიან ხელატურ კომპლექსებს, რომელთა შეფერვა დამოკიდებულია მეტალზე. მაგ: რკინა-ანტოციანური კომპლექსი წითელი შეფერილობისაა; მოლიბდენ-ანტოციანური ლურჯი და იისფერი; ნიკელთან და სპილენძთან ანტოციანური კომპლექსები თეთრია; ალუმინ-ანტოციანური კი ლურჯი შეფერვის (ტანჩევი, 1980).

საფერავისაგან დამზადებული სუფრის მშრალი ღვინო, რომელიც ინახება ბოთლებში განსაკუთრებული ჰერმეტულობის და ტემპერატურის პირო-

ბებში, კარგავს თავისუფალ და კომპლექსურ ანტოციანებს მათი გამოლექვის შედეგად. გამოლექვის პროცესი ინტენსიურია აცეტალდჰიდ-ძმარმჯავის მომატებული რაოდენობის პირობებში (ბეჭუაშვილი, ჩხარტიშვილი, 2004).

ანტოციანები მნიშვნელოვანია წითელი ღვინის არამარტო შეფერვის ინტენსივობის თვალსაზრისით, არამედ მისი სამკურნალო-პროფილაქტიკური კუთხითაც. დადგენილია ანტოციანების ანტიოქსიდანტური აქტივობა სხვადასხვა მიმართულებით: ლიპიდების უანგვის ინპიბიტორებია – პელარგინიდინის, ციანიდინის, დელფინიდინის მონოგლუკოზიდები და მათი აგლიკონები – პელარგონიდინ ქლორიდი, ციანიდინ ქლორიდი (ტსუდა და სხვ. 1996). ციანიდინის და ციანიდინ-3-გლუკოზიდის ანტიოქსიდანტური და პროტექტორული აქტივობა დადგენილია აცქუავივას და სხვ. მიერ (2003). ანტოციანების შემცველი ექსტრაქტის ანტიოქსიდანტური აქტივობა გამოვლენილია გაბრიელსკას და სხვ. მიერ (1999). ბეჭუაშვილის და თანაავტორთა მიერ (2005) გამოკვლეულია ანტოციანების – მალვიდინის, პეონიდინის, პეტუნიდინის და დელფინიდინის მონოგლუკოზიდების ანტიოქსიდანტური აქტივობა pH-ზე დამოკიდებულებით. კერძოდ, pH (2,5-3,0) ინტერვალში ანტიოქსიდანტური აქტივობა კლებულობს 95%-დან 85%-მდე; pH (3,0-4,0) ინტერვალში არ იცვლება და შეადგენს 85%, ხოლო pH (4,0-5,0) აქტივობა კვლავ იზრდება. ანტიოქსიდანტური აქტივობა განსაზღვრულია ადამიანის სისხლის შრატში მალონდიალდჰიდის წარმოქმნის ინპიბირების ხარისხით.

ანტოციანების ბიოლოგიური აქტივობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღვინის დამზადების ტექნოლოგიურ ეტაპებზე. მაგ: ანტოციანები და მათი აგლიკონები მაინპიბირებელ გავლენას ახდენენ ღვინის საფუარების შტამებზე - „ფერდოსია 1-19”; რძემჟავა ბაქტერიებზე; ობის მიკროორგანიზმებზე – *Candida Mycoderma*; კეთილშობილი სიდამპლის გამომწვევა *Botrytis cinerea*-ზე. ყურმნის ანტოციანები 300 მგ/ლ მეტი

კონცენტრაციით ანელებენ ზემოაღნიშნულ საფუარის მოქმედებას. ყველაზე აქტიური ინპიბიტორია პეონიდინი და პეონიდინ-3-გლუკოზიდი, უფრო ნაკლებად პეტუნიდინი და დელფინიდინი. რძემჟავა ბაქტერიების მოქმედებას ანელებენ ანტოციანები, ხოლო აგლიკონები ამუხრუჭებენ, მათ შორის ყველაზე მეტად პეონოდინი (ვალუიკო, 1973). ანტოციანების და ტანინის შერჩევითი ზეგავლენა დვინის საფუარების Saacch. vini-ის შტამებზე დადგენილია მოსიაშვილის მიერ (1960).

პელსინკის უნივერსიტეტის მკვლევარის მიერ (რეინი, 2005) შესწავლილია სხვადასხვა კენკროვანთა და მათი დვინოების ანტოციანების კოპიგმენტაციის ვარიანტები. ასევე გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია პირანოანტოციანები.

ანტოციანების ბიოლოგიური აქტივობის დადგენა, კერძოდ მათი ანტიოქსიდანტური, ანტიკანცეროგენული და სხვა ეფექტების, ასახულია რიგი მეცნიერების გამოკვლევებში: (Ceifford, 2000; კონგი და სხვ. 2003; როსი და სხვ. 2003; კეჭკონენი და სხვ. 2001; ვაილჯენინი და სხვ. 2004).

ანტოციანების ფერის ინტენსივობაზე გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი – pH, ტემპერატურა, ფერმენტაციული პროცესი; სინათლე, ჟანგბადი, სტრუქტურა, კონცენტრაცია და ანტოციანთა კოპიგმენტაცია. კოპიგმენტაციური ფორმების შეფერვის ინტენსივობის სტაბილურობას წითელ დვინებში ადასტურებს რიგი გამოკვლევები (ასუნი და სხვ. 1972; ასენი და სხვ. 1975; ბროილარდი, 1983; ლაიერ და სხვ. 1992; ბროილარდი და დანგლერი, 1994; იაბუია და სხვ. 1997; ბლოორი და ფალშავი, 2000).

წითელი დვინის ანტოციანებს შორის დომინანტია მალვინიდინ-3-გლუკოზიდი და მცირე რაოდენობით გამოირჩევა ციანიდინის და პეონიდინის წარმოებულები (რიბერო-გაიონი, 1982). ანტოციანთა აცილირებული ფორმები შეადგენენ მათი საერთო რაოდენობის 20%-ს (სანტოსი და სხვ. 1991; ბიურნსი და სხვ. 2002). რიბერო-გაიონის მონაცემებით აცილირებული ფორმების უმეტესობა პ-კუმარმჟავის და ყავის მჟავას წარმოებულებია.

დვინის ანტოციანების რაოდენობა დამოკიდებულია ვაზის ჯიშე, დვინის დამზადების ტექნოლოგიაზე (პელეგრინი და სხვ. 2000; არნოიუსი და სხვ. 2001; პერეზ-პრაიეტო და სხვ. 2003) ესპანურ ზოგიერთ წითელ დვინოში ანტოციანთა ჯამური რაოდენობა დუდილის შემდგომ პერიოდში შეადგენს 160-55 მგ/ლ, ხოლო 60-260 მგ/ლ დვინის ფორმირების დროს (ალმელა და სხვ. 1996; პერეზპრაიენო და სხვ. 2003). კაბერნე ფრანკის, მერლოს და პინო ნუარის 6-7 თვიან დვინოებში ანტოციანების რაოდენობა შეადგენს 220-280 მგ/ლ (მაზა და სხვ. 1999).

როგორც აღვნიშნეთ, ანტოციანთა შეფერვის ინტენსივობა და სტაბილურობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. მათ შორის ერთ-ერთია სტრუქტურა. დადგენილია, რომ მეტად ჰიდროქსილირებული აგლიკონების შემცველი ანტოციანები უფრო სტაბილურია. (დაო და სხვ. 1998; კაბრიტა და სხვ. 2000). ასევე მეტ სტაბილურობას ამჟღავნებს მეთოქსილირებული აგლიკონების შემცველი ანტოციანები (მაზა და სხვ. 1987; მიულინაცი და სხვ. 2001). ანტოციანების შეფერვის ინტენსივობა უფრო სტაბილურია, ვიდრე შესაბამისი აგლიკონების (ანდერსენი, 2002). ანტოციანთა 3-გლუკოზიდურ ფორმებს გააჩნიათ უფრო მეტი წითელი შეფერვა, ვიდრე 3,5-დიგლუკოზიდურს და 5-გლუკოზიდურს (მაზა და ბროილარდი, 1987ა). გლუკოზის რაოდენობის გაზრდა იწვევს პიგმენტის სხვა ელფერს (Gisti etal., 1999). აცილირებულ ანტოციანთა ფორმები უფრო მეტად სტაბილურია შეფერვის ინტენსივობის თვალსაზრისით (ბასა და ფრანცისი, 1987; ბაუბლისი და სხვ. 1994; როდრიგეს-საონა და სხვ. 1999). ამასთანავე დადგენილია, რომ არომატული მჟავებით აცილირებულ ანტოციანთა ფორმების შეფერვა უფრო სტაბილურია, ვიდრე ალიფატური მჟავებით აცილირებულების (სტაინგზინგი და კარლი, 2004). ყავის მჟავით აცილირებულ ანტოციანებს ახასიათებთ უფრო სტაბილური შეფერვის ინტენსივობა, ვიდრე პ-კუმარმჟავით აცილირებულ ფორმებს (ფრანცისი, 1989). პელარგონიდინ-3-სოფორო-

ზიდ-5-გლუკოზიდის პ-კუმარმჟავით აცილირებულ ფორმას მოყვითალო ელფერი აქვს, ხოლო ფერულმჟავასთან იძლევა ლურჯი შეფერვის ფორმას (Giusti და სხვ. 1999).

ანტოციანთა ფერის ინტენსივობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წყალბადიონთა კონცენტრაციაზე და pH-ის ცვლილებასთან ერთად მკვეთრად იცვლება მათი შეფერვაც. დადგენილია, რომ ანტოციანთა შეფერვის ინტენსივობა მეტად სტაბილურია მჟავე არეში, დაბალი pH-ის პირობებში. pH-ის გავლენა ანტოციანთა ფერის ინტენსივობასა და მის სტაბილურობაზე დადგენილია შესაბამისი გამოკვლევებით (ბროილარდი, 1982; ელბე და შვარზი, 1996; ფოსენი და სხვ. 1998; კაბრიტა და სხვ. 2000).

ტემპერატურის გაზრდისას ანტოციანთა დეგრადაციის პროცესი დადგენილია რიგი მკვლევარების მიერ (პალა მიდისი და სხვ. 1978; მაკარონე და სხვ. 1985). ტემპერატურის გაზრდით pH 2-4- ინტერვალში ანტოციანებში გლიკოზიდური ბმის გახლეჩვა შესწავლილია დამსის (1973) მიერ. ანტოციანთა ტემპერატურულ დეგრადაციას თან ახალავს ბენზოის მჟავის წარმოებულების გამოყოფა (სეერამი და სხვ. 2001). ფურტადოს და თანაავტორთა მიერ (1993) ანტოციანთა თერმული გარდაქმნის პროდუქტებიდან იდენტიფიცირებული იქნა ტრიპიდოქსიბენზალდეპიდი. ანტოციანთა 3,5-დიგლიკოზიდური ფორმების თერმული დეგრადაციის პროდუქტია კუმარის 3,5-დიგლიკოზიდი (ელბე და შვარზი, 1996). კვლევების შედეგად დადგენილია ანტოციანთა განსხვავებანი ტემპერატურის მიმართ სტაბილურობის მიხედვით. მაგ: 100°C-ზე პელარგონიდინ-3-გლუკოზიდი უფრო სტაბილურია, ვიდრე პეტუნიდინ-3-გლუკოზიდი და უფრო სტაბილურია მალვიდინ-3-გლუკოზიდთან შედარებით (ქეითი და სხვ. 1965), ციანიდინის და პეონიდინის არაბინოზიდები უფრო მდგრადია ვიდრე მათი გალაქტოზიდები (ატოი და სხვ. 1981).

როგორც აღვნიშნეთ ანტოციანებისათვის შეფერვის სტაბილურობის მიზნით მნიშვნელოვანია კოპიგმენტაციის შედეგად წარმოქმნილი ფორმე-

ბი. კოპიგმენტაცია არსებობს შიდამოლექულური, მოლეკულათა შორისი და მეტალებთან კომპლექსში. ღვინოში კოპიგმენტაციის ფაქტები შესწავლილია ბოჟლტონის (2001), დარიას-მარტინის და თანაავტ. (2001, 2002), ჯუტაირეზის (2003), ბოსელის და თანაავტ. (2004) მიერ. კოპიგმენტებს წარმოადგენენ ფლავონოიდები, პოლიფენოლები, ალკალოიდები, ამინომჟავები, ორგანული მჟავები (ბროილარდი და სხვ. 1989). ფლავონოიდებიდან-ფლავონების, ფლავონონებს, ფლავონოლების კოპიგმენტის სახით დადასტურებულია რიგი მკვლევარების მიერ (ასენი და სხვ. 1972; ჩანი და სხვ. 1981; ბარანაკი და სხვ. 1997ა; 1997). ფენოლმჟავებიდან კოპიგმენტის როლში ხშირად გვხვდება ოქსიდარიჩინის და ოქსიბენზოის მჟავები (მარკოვიკი და სხვ. 2000). ფლავონოლებიდან რუთინი და კვერცხტინი (შეფელდი და სხვ. 1978; ვილიამსი და სხვ. 1979; ბალინგტონი და სხვ. 1987; ბარანაკი და სხვ. 1997; ბაკოვსკა და სხვ. 2003).

კახეთის რეგიონში – საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, გურჯაანის, თელავის, ახმეტის რაიონებში გავრცელებული საფერავის გამოკვლევისას გამოვლინდა ხაშმის მიკრორაიონში გავრცელებული საფერავისგან დამზადებული სუფრის მშრალი ღვინომასალის და ორდინარული ღვინის მაკონტროლებელი მახასიათებელი და თავისებურება: ღვინომასალის 9 თვიანი ფორმირების შედეგად. ძირითად ანტოციანთა ინდივიდუალური ფორმების გარდაქმნა ხსნად, სტაბილურ და შეფერილ კომპლექსურ ფორმაში. ეს თავისებურება ხასიათდება ღვინომასალის და ორდინარული ღვინის ინტენსიური ლალისფერის შენარჩუნებით.

ღვინომასალის 9 თვიანი ფორმირების შემდეგ, ანტოციანთა შეფერილი კომპლექსი წარმოიქმნება ლეიკოანტოციანებთან და არა რკინასთან და კალასთან.

ღვინომასალასა და ორდინარულ ღვინოში არსებულ ანტოციანთა ფუნქციის შენარჩუნებას ადასტურებს მაქსიმალური შთანთქმა 520ნმ-ზე

$(T = \frac{D_{420}}{D_{520}})$  და გოგირდოვანი ანჰიდრიდით მოქმედებისას საღებავების რაოდენობრივი შემცირება (ქვლივიძე, 2006).

პროანტოციანიდინები (ლეიკოანტოციანები) ანუ ფლავან-3,4-დიოლები მნიშვნელოვანი ფენოლური კომპონენტებია წითელი ღვინისათვის. აღნიშნული ნაერთები დიდ გავლენას ახდენენ ღვინის ხარისხზე, როგორც ორგანოლეპტიკური თვალსაზრისით, ასევე სამკურნალო-პროფილაქტიკური ღირებულების მიხედვით. პროანტოციანიდინები წარმოადგენენ კონდენსირებულ ტანინის წყაროს. პროანტოციანიდინები მჟავე არეში გაცხელებით უანგბადის თანაობისას წარმოქმნიან ანტოციანიდინებს. დაბალმოლეპულურ პროანტოციანიდინებს ნაკლებად გამოხატული მთრიმლავი თვისებები გააჩნიათ და არ ლექავენ ცილებს. პროანტოციანიდინების პოლიმერიზაციის ხარისხის ზრდასთან ერთად მატულობს მათი მთრიმლავი თვისებები. წითელ ღვინოებში გვხვდება დიორემული, ტრიმერული, ტეტრამერული და პოლიმერული ფორმის პროანტოციანიდინები, რომელთა შორის ჭარბობს პოლიმერული ფორმა. კახეთის რაიონებში გავრცელებული საფერავისგან დამზადებულ სუფრის მშრალ ღვინომასალებში ლეიკოანტოციანების რაოდენობა შეადგენს: 1,72-2,65 გ/ლ. მინიმალური – 1,72 გ/ლ დაფიქსირდა ახმეტის რაიონის ღვინომასალაში, ხოლო მაქსიმალური – 2,65 გ/ლ, ხაშმის მიკრორაიონის ღვინომასალაში (ქვლივიძე, ბეჟუაშვილი, 2005).

ესპანურ, ფრანგულ და ამერიკულ ზოგიერთ წითელ ღვინოში განსაზღვრულია ოლიგომერული პროანტოციანიდინები. ესპანური (ტემპრანიოლის 1995 წლის მოსავლის): დიმერული პროანტოციანიდინები – 83,77 მგ/ლ; ტრიმერული – 26,98 მგ/ლ; ტეტრამერული – 21,17 მგ/ლ. ფრანგული (კაბერნე სოვინიონის 1997 წლის მოსავლის): დიმერული – 214,60 მგ/ლ; ტრიმერული – 30,17 მგ/ლ; ტეტრამერული – 42,42 მგ/ლ. ამერიკული (Chartourcin-ის

1997 წლის მოსავლის): დიმერული – 27,90 მგ/ლ; ორიმერული – 11,14 მგ/ლ; ოქტომერული – 5,38 მგ/ლ (სანჩეზ-მორენო და სხვ. 2003).

ესპანურ წითელ ღვინოებში პროანტოციანიდინების განსაზღვრისას დაფიქსირდა მხოლოდ დიმერული  $B_1$  და  $B_2$  ფორმები შემდეგი რაოდენობით: ოქტომერულოს ღვინოში  $B_1$ - $7,10\pm0,08$  მგ/ლ;  $B_2$ - $7,40\pm0,13$  მგ/ლ. გრაციანოს ღვინოში:  $B_1$ - $15,96\pm0,02$  მგ/ლ;  $B_2$ - $17,05\pm0,95$  მგ/ლ. კაბერნეს ღვინოში:  $B_1$ - $11,21\pm0,56$  მგ/ლ;  $B_2$ - $15,31\pm0,28$  მგ/ლ. მერლოს ღვინოში:  $B_1$ - $4,96\pm0,07$  მგ/ლ;  $B_2$ - $6,97\pm0,13$  მგ/ლ (მონაგასი და სხვ. 2005).

ყურძნისა და ღვინის ლეიკოანტოციანების შესწავლას დიდად შეუწყო ხელი დურმიშიძის და თანაავტორთა (1955; 1984), რიბერო-გაიონის (1957ა, 1957ბ, 1964), სამაატმაჯას და სხვ. (1965) მეცნიერთა საწყისმა ფუნდამენტალურმა გამოკვლევებმა. სოფრომაძის მიერ (1974) საფერავის ყურძნის წიპრის ლეიკოანტოციანების გარდაქმნის პროდუქტებიდან იდენტიფიცირებულია დელფინიდინი და ციანიდინი. ეს კი მიუთითებს მათი შესაბამისი ლეიკოფორმების არსებობაზე ლეიკოანტოციანებში. საფერავის, მატრასას და რქაწითელის ყურძნის კლერტის, კანის და წიპრის ლეიკოანტოციანების გარდაქმნის პროდუქტებიდან იდენტიფიცირებულია დელფინიდინი, ციანიდინი და სავარაუდოდ პელაროგონიდინი. საფერავისაგან დამზადებული ღვინო ლეიკოანტოციანებს შეიცავს 1,2-4,7 გ/ლ; მატრასას ღვინო: 1,0-4,1 გ/ლ და რქაწითელის ღვინო: 0,2-4,3 გ/ლ (სტურუა და სხვ. 1973).

ყურძნის წიპრის ექსტრაქტი ერთ-ერთი ექსპერიმენტის მიხედვით შეიცავს 92% ფენოლურ ნაერთებს, რომელთა შორის 68% ოლიგომერული პროანტოციანებია. როგორც ოლიგომერული, ასევე პოლიმერული პროანტოციანიდინები აქტიურად მონაწილეობენ წითელი ღვინის დაძველებისას მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი გარდაქმნებში და მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ღვინის ხარისხს (დურმიშიძე, 1955; ჰასლამი, 1980). გარდა ამისა პროანტოციანიდინების მაღალი ბიოლოგიური აქტი-

ვობის გამო, მათი შემცველი წითელი ღვინოები ატარებენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დირებულებას. მაგ: ტანინს გააჩნია P-ვიტამინური აქტივობა (დურმიშიძე და სხვ. 1961); პროანტოციანები ხასიათდებიან სიმსივნის საწინააღმდეგო, ფუნგიციდური, ბაქტერიოციდული, ბაქტერიოსტატიკური, ანტიმიკრობული და სხვ. თვისებებით (მასკელიქ, 1956; ზაპრომეტოვი, 1968; გოლოვკინა, 1968). ესპანელმა მეცნიერებმა (ლიოპიზი და სხვ. 2004) გამოვლინეს პროანტოციანების შემცველი ყურძნის წიპრის ექსტრაქტის ანტიგენოტოქსიკური ეფექტი ოქსიდაციური სტრუსის დროს. იტალიელი მეცნიერების მიერ „V. vinifera”-ს ყურძნის წიპრის პროციანიდინების ანტიოქსიდანტური ეფექტი დადგინდა „in vivo” პირობებში ოქსიდაციური სტრუსის დროს (სიმონეტი, 2002). კანადელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს ყურძნის წიპრის ოლიგომერული პროანტოციანები და დაადგინეს, რომ მათი ანტიოქსიდანტური აქტივობა 20-ჯერ აღემატება ვიტამინ „E”-ს აქტივაბს, ხოლო 50-ჯერ „C” ვიტამინის აქტივობას (შაი და სხვ. 2003).

ბეტეს-საურას და თანაავტორთა მიერ (1996) გამოკვლეული იქნა ესპანური ღვინოები და ყურძნის წვენები ფენოლურ ნაერთთა შემცველობის მიხედვით, მათ შორის განსაზღვრულია ორი პროციანიდინი – B<sub>2</sub> და B<sub>3</sub>. ყურძნის წვენის 18 ნიმუშის გაანალიზების შედეგად პროციანიდინების ზღვარი აღმოჩნდა: B<sub>2</sub> – 1,01-1,61 მგ/ლ; B<sub>3</sub> – 1,90-2,91 მგ/ლ; ღვინის 31 ნიმუში ანალიზის შედეგად B<sub>2</sub> და B<sub>3</sub>-ის ზღვარი შესაბამისად შეადგენს: B<sub>2</sub> – 0,82-1,96 მგ/ლ; B<sub>3</sub> – 0,92-1,41 მგ/ლ.

ფრანგი მეცნიერების მიერ (საინტ-კრიქ დე გარულეჟასი და სხვ. 1999) კაბერნე სოვინიონის ჯიშის ყურძნის წიპრის და ღვინის პროციანიდინების გამოკვლევის შედეგად იდენტიფიცირდა დიმერული პროციანიდინები: B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>4</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>7</sub>, B<sub>8</sub>; ტრიმერული – C<sub>1</sub> და ტეტრამერული პროციანიდინი. ამასთანავე დადგენილი იქნა მათი უნარი რადიკალების შებოჭვის თვალსაზრისით.

### **1.3. ხილ-კენკროვანთა ანტოციანების ზოგადი დახასიათება**

გამომდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა წარმოშობის ანტოციანები, შეიძლება გახდეს წითელი ღვინოების ფალსიფიკაციის მიზეზი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხილ-კენკროვანთა ანტოციანების მიმოხილვა. ბლის ანტოციანები წარმოდგენილია ციანიდინ-3-გლუკოზიდის, ციანიდინ-3-რუტინზიდის, პეონიდინ-3-გლუკოზიდის, პელარგონიდინ-3-რუტინზიდის, პეონიდინ-3-რუტინზიდის სახით (მოზეტიკი და სხვ. 2004). ავტორს მოყავს ისტორიული მიმოხილვა სხვადასხვა ჯიშის ბლის ანტოციანების კვლევის შესახებ და მიუთითებს, რომ იგი მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ვრცელდება. ჯერ კიდევ 1916 წელს ვილჰელმერის და ზოლინგენის მიერ, მოგვიანებით 1931 წ. რობინსონების მიერ ალუბალში აღმოჩენილი იქნა ციანიდინის რუტინზიდი და გლუკოზიდი. შემდგომ ლინის და ლუჟს მიერ 1964 წ პეონიდინის გლუკოზიდი. 1979 წელს ოკობიმ მოახდინა პეონიდინ-3-რუტინზიდის იდენტიფიკაცია. 1995 წელს გაო-ს და მაზა-ს მიერ იდენტიფიცირდა ძირითადი ანტოციანები – ციანიდინ-3-რუტინზიდი და ციანიდინ-3-გლუკოზიდი, ხოლო მინორულად გამოვლინდა პეონიდინის და პელარგონიდინის გლუკოზიდები.

რუსეთში ბელგოროდის ოლქში გავრცელებული ჟოლოს რამდენიმე ჯიშის და მაყვლის ანტოციანთა კომპლექსი გამოკვლეულია სოროკოპუდოვის და თანაავტორთა მიერ (2005). მალინის ანტოციანთა რაოდენობამ საშუალოდ შეადგინა 9-71 მგ/100გ. ციანიდინ-3-გლუკოზიდზე გადაანგარიშებით. წითელი ჟოლოს ანტოციანები წარმოდგენილია ციანიდინ-3-გლუკოზიდის, ციანიდინ-3-რუტინზიდის, ციანიდინ-3-სოფოროზიდის და ციანიდინ-3,2-გლუკოზიდ რუტინზიდის სახით. მაყვლის ნაყოფში ანტოციანების საერთო რაოდენობა შეადგენს 53-182 მგ/100 გ + ციანიდინ-3-გლუკოზიდზე გადაანგარიშებით, რომელიც პრაქტიკულად ძირითად ანტოციანს წარმოადგენს. წითელი ჟოლოს რამდენიმე ჯიშის ანტოციანთა კვლევის შედეგად დომინანტად გამოვლინდა ციანიდინ-3-

სოფოროზიდი (დეინექა და სხვ. 2003; გაიფონი და სხვ. 1999). უნდა აღინიშნოს, რომ ჟოლოს რამდენიმე ჯიშში სოფოროზიდის გვერდით ძირითად ანტოციანად გამოვლინდა ციანიდინის რუთინოზიდი და ასევე ციანიდინის გლუკოზიდი (ბეგონა და სხვ. 1999; ბიანუკამა და სხვ. 2005). წითელი ჟოლოს ანტოციანთა შორის იდენტიფიცირდა ციანიდინ-3,5-დიგლუკოზიდიც (ფადა და სხვ. 2002).

ავსტრალიურ ნატურალურ ხილ-კენკროვნებში განისაზღვრა ფენოლურ ნაერთთა საერთო რაოდენობა და ანტოციანთა თვისებრივ-რაოდენობრივი შედგენილობა. ჟოლოს ანტოციანებში დომინანტად აღმო ციანიდინ-3-გლუკოზიდი (14,3%) და ციანიდინ-3-რუთინოზიდი (81,2%); დავიდსონის ჯიშის ქლიავში: ციანიდინ-3-სოფოროზიდი (60,1%), დელფინიდინ-3-სოფოროზიდი (21,5%), პერნიდინ-3-სოფოროზიდი (14,8%) და პერუნიდინ-3-სოფოროზიდი (3,6%); ილავარას ჯიშის ქლიავში: ციანიდინ-3-გლუკოზიდი (99,5%), პელარგონიდინ-3-გლუკოზიდი (0,5%); ერთ-ერთი ჯიშის ალუბალში კი ციანიდინ-3-გლუკოზიდია მხოლოდ ანტოციანებიდან; ანალოგიური სურათია ბურდუკინის ჯიშის ქლიავისათვის. Niberry-ის კენკრაში კი ციანიდინ-3-გლუკოზიდი (11,9%); ციანიდინ-3,5-დიგლუკოზიდი (88,1%). Brucherry-ში: დელფინიდინ-3,5-დიგლუკოზიდი (6,6%), პერნიდინ-3,5-დიგლუკოზიდი (3,8%), პეტუნიდინ-3,5-დიგლუკოზიდი (13,3%), მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი (76,3%). Blueberry-ის ანტოციანები კი წარმოდგენილია: დელფინიდინ-3-გალაქტოზიდის, დელფინიდინ-3-გლუკოზიდის, ციანიდინ-3-გალაქტოზიდის, დელფინიდინ-3-არაბინოზიდის, პეტუნიდინ-3-გლუკოზიდის და სხვ. სახით (ნეტელი და სხვ.). ფინელი მეცნიერების მიერ (ჟააკოლა და სხვ. 2002). დადგენილია ანტოციანთა ბიოსინთეზი და თვისებრივი შედგენილობა მოცვის ნაყოფში. იდენტიფიცირებული ანტოციანები მოცვის მწიფე ნაყოფში შემდეგი შედგენილობისაა: დელფინიდინ-3-გალაქტოზიდი (დომინანტია), დელფინიდინ-3-გლუკოზიდი, ციანიდინ-3-გალაქტოზიდი, დელფინიდინ-3-არაბინოზიდი,

ციანიდინ-3-გლუკოზიდი, პეტუნიდინ-3-გალაქტოზიდი, პეონიდინ-3-გალაქტოზიდი, პეტუნიდინ-3-არაბინოზიდი, პეონიდინ-3-გლუკოზიდი, მალვიდინ-3-გალაქტოზიდი, პეონიდინ-3-არაბინოზიდი, მალვიდინ-3-გლუკოზიდი, მალვიდინ-3-არაბინოზიდი. მოცვის ანტოციანები შესწავლილია ასევე იტალიელი მეცნიერების მიერ (მონდელო და სხვ. 2002). კომერციულ ხილსა და წვენში გამოკვლეულია ანტოციანები. მაგ.: Cranberry-ში დადგენილია ციანიდინ-3-გალაქტოზიდის, ციანიდინ-3-გლუკოზიდის, ციანიდინ-3-არაბინოზიდის, პეონიდინ-3-გალაქტოზიდის, პეონიდინ-3-გლუკოზიდის, პეონიდინ-3-არაბინოზიდის შემცველობა. იგივე ავტორთა მიერ (მიულენი და სხვ. 2007). ბროწეულის წვენში იდენტიფიცირებულია ციანიდინ-3-გალაქტოზიდი, ციანიდინ-3-გლუკოზიდი.

იაპონელი მეცნიერების მიერ (ნაკაუმა და სხვ. 2004) გამოკვლეულია რიგი კენკროვანთა ნაყოფების ანტოციანები: კერძოდ, მოცვის, მოცხარის, ანწლის და Chokeberry-ის (*Aroma melanocarpa*). დადგინდა, რომ მოცვის ნაყოფი შეიცავს დელფინიდინ-3-გალაქტოზიდს (ყველაზე დიდი რაოდენობით), დელფინიდინ-3-გლუკოზიდს, ციანიდინ-3-გალაქტოზიდს, დელფინიდინ-3-არაბინოზიდს, ციანიდინ-3-გლუკოზიდს, ციანიდინ-3-არაბინოზიდს; აღნიშნულთან შედარებით მცირე რაოდენობით პეტუნიდინ-3-გალაქტოზიდს, პეტუნიდინ-3-გლუკოზიდს, პეონიდინ-3-გლუკოზიდს, პეონიდინ-3-არაბინოზიდს; ყველაზე მცირე რაოდენობით კი მალვიდინ-3-არაბინოზიდს, პეონიდინ-3-არაბინოზიდს; ყველაზე მცირე რაოდენობით კი მალვიდინ-3-არაბინოზიდს, პეტუნიდინ-3-არაბინოზიდს და პეონიდინ-3-გალაქტოზიდს. შავი მოცხარი დიდი რაოდენობით შეიძლება ითქვას ძირითადად შეიცავს დელფინიდინ-3-რუთინოზიდს, ციანიდინ-3-რუთინოზიდს, მცირე რაოდენობით დელფინიდინ-3-გლუკოზიდს, ციანიდინ-3-გლუკოზიდს და ზოგჯერ პეტუნიდინ-3-რუთინოზიდს და პეონიდინ-3-რუთინოზიდს. ანწლის ნაყოფი ძირითადად შეიცავს 2 ანტოციანს: დიდი რაოდენობით ციანიდინ-3-სამბუბიოზიდს და შედარებით ნაკლები

რაოდენობით ციანიდინ-3,5-გლუკოზიდს. Chokeberry-ის ანუოფში დომინანტია ციანიდინ-3-გალაქტოზიდი, შემდეგ ციანიდინ-3-არაბიონიზიდი, მცირე რაოდენობით არის ციანიდინ-3-ქსილოზიდი და ციანიდინ-3-გლუკოზიდი. ორეგონის უნივერსიტეტის მეცნიერთა გამოკვლევებით (ააბი და სხვ. 2005), მარტყვის რბილობში და *achenes*-ში დადგენილია ანტოციანთა თვისებრივი და რაოდენობრივი შედგენილობა, კერძოდ კულტივირების სხვადასხვა ვარიანტების მიხედვით რბილობში: ციანიდინ-3-გლუკოზიდი 0,9-4,2 (%) პიკის ფართობისა), პელარგონიდინ-3-გლუკოზიდი 85,8-91,3%; პელარგონიდინ-3-რუთინოზიდი 2,1-3,5%, ციანიდინ-3-გლუკოზიდ-მალონატი არ დაფიქსირდა; პელარგონიდინ-3-გლუკოზიდ-მალონატი 9,5-10,1%. *Achenes*-ში: ციანიდინ-3-გლუკოზიდი 37,0-43,6, პელარგონიდინ-3-გლუკოზიდი 34,8-51,7%; პელარგონიდინ-3-რუთინოზიდი არ დაფიქსირდა, ციანიდინ-3-გლუკოზიდ-მალონატი 11,3-21,6% და პელარგონიდინ-3-გლუკოზიდ-მალონატი 6,1-7,5%. ანდერსენის და თანაავტორთა მიერ (2004), მარტყვიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია 2 ახალი ანტოციანი: 5-კარბოქსიპირანოპელარგონიდინ-3-0-β-გლუკოპირონოზიდი და პელარგონიდინ-3-0-β-გლუკოპირანოზიდი.

ფოსენის და თანაავტორთა მიერ (2004) მარტყვიდან იდენტიფიცირდა დიმერული კომპლექსური ანტოციანები: კატეინ-პელარგონიდინ-3-0-β-გლუკოპირანოზიდი, ეპიკატეინ-პელარგონიდინ-3-0-β-გლუკოპირანოზიდი, აფთელექსინ-პელარგონიდინ-3-0-β-გლუკოპირანოზიდი.

კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა (ზარეიმი და სხვ. 2006) შეისწავლეს მარტყვის ფენოლური ნაერთები, მათ შორის ანტოციანები: პელარგონიდინ-დიგლუკოზიდი, ციანიდინ-გლუკოზიდი, პელარგონიდინ-გლუკოზიდი, პელარგონიდინ-რუთინოზიდი.

## 2. ექსპერიმენტული ნაწილი

### 2.1. კვლევის ობიექტები და მეთოდები

კვლევის ობიექტებად გამოყენებული იყო საქართველოში გავრცელებული კაზის წითელყურძნიანი ტექნიკური ჯიშები: საფერავი, საფერავი ბუდეშურისებრი, კაბერნე სოვინიონი, ოცხანური საფერე, შავკაპიტო, თავკვერი და პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმები-ვაქირულა, დირბულა, იზაბელა-Vitis Labrusca. საექსპერიმენტოდ ვიყენებდით ყურძნის კანსა და 2005-2007 წლის მოსავლიდან კლასიკური მეთოდით დამზადებულ სუფრის წითელ ღვინომასალებს - თვითდაწმენდილ მდგომარეობაში მე-2 გადაღების შემდეგ. საღებავ ნივთიერებებს ვსაზღვრავდით სპექტროფოტომეტრული მეთოდით, ხოლო ანტოციანების თვისებრივ განსაზღვრას ვახდენდით ქაღალდის ქრომატოგრაფიის მეთოდით სისტემაში ნ-ბუთანოლი: ძმარმჟავა: წყალი (4:1:2).

მაღვიდინის დიგლუკოზიდის რაოდენობრივ განსაზღვრას ვახდენდით მაღალეფებული სითხური ქრომატოგრაფიით შემდეგ პირობებში: დეტექტორი ულტრაიისფერი, ადსორბენტი  $C_{18}$ , სვეტი 3,9x150mm. ელუენტი A – დიჰიდროამონიუმის ფოსფატი; ელუენტი B – 20% A/ 80% აცეტონიტრილი. C - 0.2M ორთოფოსფორმჟავა; ელუენტის სიჩქარე 0,5 მლ/წთ.

ყურძნის კანში ანტოციანების განსაზღვრის მიზნით, წინასწარ ვაწარმოებდით მათ ექსტრაქციას შემჟავებული ეთანოლის 80%-იანი ხსნარით (PH-1,2).

საერთო ფენოლური ნაერთების რაოდენობრივ განსაზღვრას ვატარებდით სპექტროფოტომეტრულად ფოლინ-ჩოკალტეუს რეაქტივის გამოყენებით (სეიდერი და სხვ., 1972).

ღვინომასალებში პროანტოციანიდინების და კატეხინების რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრისათვის ვაწარმოებდით მათ წინასწარ

გამოწვლილვას ეთილაცეტატით და შემდგომ ვსაზღვრავდით ვანილინისა და ლეიკონტროციანის რეაქტივების გამოყენებით მეთოდიკის შესაბამისად (ვალუიკო, 1973).

პარარელურად ლეიკონტროციანებს ვსაზღვრავდით რეაქტივის ნ-ბუთანოლი:მარილმჟავა (60:40) დამატებით და შემდგომი გაცხელებით 2 წთ-ის განმავლობაში (ვალუიკო, 1973).

კატენების თვისებრივ ანალიზს ვატარებდით ქაღალდის ქრომატოგრაფიით სისტემაში ნ-ბუთანოლი:მარმჟავა:წყალი (4:1:2). ქრომატოგრამებს ვამჟღავნებდით ვანილინის რეაქტივით.

ვენოლმჟავების ფრაქციის გამოყოფას დვინომასალიდან ვახდენდით დიეთილის ეთერით და თვისებრივად ვიკვლევდით სილუფოლის ფირფიტაზე (20სმX20სმ), თხელფენვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით. სისტემად გამოყენებული იყო გამხსნელთა ნარევი ქლოროფორმი: მეთანოლი (90:10). ქრომატოგრამას ვამჟღავნებდით დაზოტირებული სულფანილის მჟავით.

მეთილანტრანილატის განსაზღვრისთვის დვინომასალებს ვამჟავებდით ქლოროფორმით და ქლოროფორმიან ფრაქციას ვიყენებდით ანალიზისათვის. ქაღალდის ქრომატოგრაფიას ვატარებდით სისტემაში ნ-ბუთანოლი: მარმჟავა:წყალი (4:1:2) და ქრომატოგრამას ვამჟღავნებდით ნინჭიდრინით. მეთილანტრანილატს, როგორც ამინოჯგუფის ( $NH_2$ ) შემცველ ნივთიერებას, ვამოწმებდით დრანგენდორფის რეაქტივითაც.

გარდა ამისა, დვინომასალაში მეთილანტრანილატის იდენტიფიკაცია, თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზი ჩავატარეთ ქრომატო-მასს-სპექტრომეტრიით. ანალიზი ჩატარებული იქნა აპარატზე „Agilent technologies GC/MS” .HP-MS,  $t^o$  – 40 – 300 $^oC$ , აირ-მატარებელი ჰელიუმი.

დვინომასალებიდან პოლიმერული პროანტროციანიდინების გამოყოფას ვახდენდით ეთილაცეტატიანი ფრაქციის სახით.ანტროციანიდინებად გარდაქმნის მიზნით მათ 40წთ-ით ვაცხელებდით ლეიკონტროციანის რეაქტივის დამატევით (ნ-ბუთანოლი:მარილმჟავა 60:40). მიღებულ შეფე-

რილ ნარევს ვაანალიზებდით ქაღალდის ქრომატოგრაფიის მეთოდით სისტემაში ნ-ბუთანოლი: ძმარმჟავა: წყალი (4:1:2).

ანტოციანების ჯამურ ფრაქციებს ვიღებდით პაერზე გამომშრალი ყურძნის კანიდან ცხელი ექსტრაქციის პირობებში შემჟავებული წყლიანი ეთანოლის ხსნარით.

ყურძნის კანებისა და წითელი ლვინოების ანტოციანებს ვსაზღვრავდით მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფით შემდეგ პირობებში: ქრომატოგრაფი ფირმის “Varian”; სვეტი Microsorb 100C18; 250X4.6მმ; ნაწილაკის ზომა  $5\mu m$ , ელუენტი-A-წყალი:ჭიანჭველმჟავა:აცეტონიტრილი (87:10:3). B-წყალი:ჭიანჭველმჟავა:აცეტონიტრილი (40:10:50); ნიმუშის რაოდენობა  $20\mu l$ ; ელუენტის მიწოდების სიჩქარე – 0.8 მლ/წთ. დეტექტორი-ულტრაიისფერი, ტალღის სიგრძე 518ნმ, მოწმედგამოყენებული იყო ანტოციანიდინები: მაღვიდინის, ციანიდინის, დელფინიდინის ქლორიდები.

## 2.2. ლვინის ანტოციანები, როგორც ჯიშური სიწმინდის ერთ-ერთი მაჩვენებელი

საქართველოში გავრცელებულ წითელყურძნიან ტექნიკურ ჯიშებსა და პირდაპირმარმოებელ ჰიბრიდულ ფორმებში ანტოციანების გამოკვლევისა და მასთან მიმართებაში ჯიშური სიწმინდის მაჩვენებლის დადგენის მიზნით, აუცილებლად მივიჩნიეთ უპირველეს ყოვლისა დაგვედგინა განსხვავება მაღვიდინის-3,5-დიგლუკოზიდის შემცველობის მხრივ წითელყურძნიან ტექნიკურ ჯიშებსა და პირდაპირმარმოებელ ჰიბრიდულ ფორმებს შორის. ამ მიზნით გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა საკვლევი ობიექტების შედარებითი ანალიზი ანტოციანების თვისებრივი შედგენილობისა და რაოდენობრივი ცვალებადობის თვალსაზრისით.

ჩატარებული კვლევის შედეგები მოყვანილია ცხრილში 2.2.1-2 და ნახ. 2.2.1 – 3.

ცხრილი 2.2.1


### სუფრის წითელი მშრალი ლვინომასალების ქიმიური მაჩვენებლები

Nº	ყურძნის ჯიში	ტიტრული მჟავიანობა, გ/დგ³	გეროლავი მჟავები, გ/დგ³	ექსტრაქციი, გ/დგ³	საღებავი ნივ- თიერებები, გ/დგ³	საერთო ფე- ნოლები, გ/დგ³
1	საფერავი	7,3	0,55	30,7	800,0	4,2
2	კაბერნე სოვინიონი	6,8	0,46	27,2	555,5	3,8
3	ოცხანური საფერე	6,8	0,52	31,1	876,0	4,7
4	გაქირულა	7,45	0,65	34,3	708,3	3,0
5	იზაბელა	7,1	0,69	23,0	190,0	1,8
6	დირბულა	8,2	0,60	36,4	2250,0	4,2

ცხრილი 2.2.2

ანტოციანების შემცველობა წითელყურძნიან ვაზის  
ტექნიკურ ჯიშებსა და პიძრიდული ფორმების ყურძნის კანში

კომპონენტები	საფერავი	გაბერნატოვნი	ოცხანური საფერა	ვაქირულია	იზაბელა	დირბულა
ანტოციანები, %	6,9	4,1	7,5	5,7	3,1	8,75



ნახ.2.2.1. დვინომასალების ანტოციანების ქადალდის ქრომატოგრამა.  
I-საფერავი; II-კაბერნე-სოვინიონი; III-ოცხანური საფერო; V-ვაქირულა;  
VI-იზაბელა; VII-დირბულა.


ა) მალვიდინის მონოგლუკოზიდი; ბ) მალვიდინის დიგლუკოზიდი.

როგორც ცხრილების 2.2.1-2 მონაცემები გვიჩვენებს ტექნიკური ჯიშებისა და პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმებისაგან დამზადებული ღვინომასალები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. შედარებით მცირე რაოდენობით საღებავი ნივთიერებები დაფიქსირებულ იქნა კაბერნე სოვინონის ყურძნის კანსა და მისგან დამზადებულ ღვინომასალაში.

პირდაპირმწარმოებელ პიბრიდულ ფორმებს შორის კი საღებავი ნივთიერებების მცირე რაოდენობით გამოირჩევა იზაბელას ყურძნის კანი და ღვინომასალა, საღებავი ნივთიერებების მდიდარი შემცველობა პიბრიდულ ფორმებს შორის აღმოჩნდა დირბულას ყურძნის კანში, დაახლოებით - 8,8%, ხოლო ღვინომასალაში კი 2250 მგ/დგ<sup>3</sup>.


განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საღებავი ნივთიერებების შემცველობის ცვალებადობა მისი 12 თვიანი დაყოვნების მანძილზე. ამ დინამიკამ ნათლად აჩვენა ის, რომ ტექნიკური ჯიშებისაგან დამზადებულ ღვინომასალებში, საღებავი ნივთიერებების შედარებით მცირე რაოდენობის დანაკარგით ხასიათდება ოცხანური საფერე - 358,4 მგ/დგ<sup>3</sup>, ხოლო პიბრიდული ფორმებიდან დირბულას ეს დანაკარგი შეადგენს დაახლოებით-1025 მგ/დგ<sup>3</sup> (ნახ. 2.2.2).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური ჯიშებისაგან დამზადებული ღვინომასალები პიბრიდული ფორმებისაგან დამზადებულ ღვინომასალებთან შედარებით გაცილებით მცირე რაოდენობით ლექს გამოყოფენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვაქირულა, რომელშიც ძალიან ხშირად ხდება შებურვა და ლექის დიდი რაოდენობით გამოყოფის გამო მცირდება მისი ექსტრაქტულობა. ზემოაღნიშნულის გარდა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი ობიექტები ერთმანეთისაგან განსხვავებით სხვადასხვა კონცენტრაციით შეიცავენ საერთო ფენოლურ ნაერთებს.




#### ნახ.2.2.2. საღებავი ნივთიერებების შემცველობის ცვალებადობა ღვინომასალებში 1-წლიანი დაგარგების პერიოდში.

როგორც ნახ. 2.2.2. მონაცემები გვიჩვენებს, ღვინომასალებისათვის დამახასიათებელია ანტოციანების სხვადასხვა კონცენტრაციით შემცველობა. ტექნიკური ჯიშების ყურძენში არსებულ ანტოციანთა შორის რაოდენობრივად ჭარბობს მაღვიდინ-3-გლუკოზიდი და არ შეინიშნება მაღვიდინის დიგლუკოზიდის არსებობა. ჰიბრიდული ფორმების ღვინომასალებში კი დომინირებს მაღვიდინის-3,5-დიგლუკოზიდი, ასევე მის შემცველობაში შედის მაღვიდინის-3-გლუკოზიდი. დირბულას, ვაქირულასა და იზაბულას ღვინომასალებში მაღვიდინის დიგლუკოზიდის არსებობა დასტურდება როგორც ქადალდის ქრომატოგრამით ასევე მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრამით (ნახ. 2.2.3). საფერავის ღვინომასალაში მაღვიდინის დიგლუკოზიდი არ დაფიქსირებულა.



δ





δ

ნახ.2.2.3. ღვინომასალების ანტოციანთა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრამა.  
ა-დიორბულას ღვინომასალა; ბ-გაქირულას ღვინომასალა;


რაც შეეხებათ პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმებიდან დამზადებულ დვინომასალებს, მათში პირველი გადადების შემდეგ მალვიდინის დიგლუკოზიდის შემდეგი რაოდენობრივი მაჩვენებლები დაფიქსირდა: დირბულა - 962,9 მგ/დმ<sup>3</sup>; ვაჭირულა - 340,1 მგ/დმ<sup>3</sup>; ოზაბელა - 19,9 მგ/დმ<sup>3</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ოზაბელას როგორც ყურძნის კანი ასევე დვინომასალა გამოირჩევა ანტოციანების როგორც მცირე კონცენტრაციით, ასევე მისი დარიბი თვისებრივი შემადგენლობით.

ყურადღება მივაქციეთ ჰიბრიდული ფორმების მალვიდინის დიგლუკოზიდის ფართო პიკს და იმის გასარკვევად იგი შეესაბამებოდა თუ არა მხოლოდ აღნიშნულ ნივთიერებას, იგივე ობიექტების მაღალეფებური ქრომატოგრაფია ჩავატარეთ უფრო მგრძნობიარე პირობებში (ქრომატოგრაფიული პროცესის მეთოდით).






α



8


ნახ.2.2.4. პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმების სუფრის მშრალი დგინომასალების ანტოციანთა სითხური ქრომატოგრამები

- გაქირულა: 1 – დელფინიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; 3 - ციანიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; 4 – პეტუნიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; 6 - მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი;
- იზაბელა: 1 – დელფინიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; 2 - ციანიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; 3 – პეტუნიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; - მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი;
- დირბულა: 1 – დელფინიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; 3 - ციანიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; 4 – პეტუნიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; 6 - მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი;




მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი


სინონიმი - მალვინი




$C_{29}H_{35}O_{17}Cl$  - მალვოზიდი



ციანიდინ-3,5-დიგლუკოზიდი



ডেলফিনোফিন-3,5-ডিওক্সিজনেটিভ



3,5-জেনেটিভ-3,5-ডিওক্সিজনেটিভ

ქრომატოგრამები გვიჩვენებს, რომ საკვლევი დვინომასალები მალვიდინის დიგლუკოზიდის გარდა, შეიცავს დელფინინ-3,5-დიგლუკოზიდს, ციანიდინ-3,5-დიგლუკოზიდს, პეტუნიდინ-3,5-დიგლუკოზიდს და პეონიდინ-3,5-დიგლუკოზიდს. მათგან მალვიდინის დიგლუკოზიდის კონცენტრაცია ვაქირულას დვინომასალაში შეადგენს 316,8მგ/ლ; დირბულას დვინომასალაში 505მგ/ლ და იზაბელას დვინომასალაში კი მკვეთრად განსხვავებულ მცირე რაოდენობას – 3,218მგ/ლ. ანუ ნახ.2.2.3 ა.ბ-ზე აღნიშნული მალვიდინის დიგლუკოზიდის პიკი არაინდიგიდუალურია და მოიცავს სხვა დიგლუკოზიდებსაც. ნივთიერებათა ქრომატოგრაფიული დაყოფის დაბალი ხარისხის გამო, მოცემულია ერთი მთლიანი პიკი და შესაბამისად მალვიდინის დიგლუკოზიდის გაზრდილი რაოდენობა.

1 წლიანი დაყოვნების შემდეგ დვინომასალებში იცვლება საღებავი ნივთიერებების შემცველობა მაშინ, როდესაც ვაქირულას დვინომასალაში უკვე 4 თვის შემდეგ შეიმჩნევა შებურვა, იცვლება მისი შეფერილობა და ის კარგავს წითელ ფერს. ზემოთ თქმული დასტურდება შეფერვის ინტენსივობის მაჩვენებლითა და სიდიდით  $K = \frac{D_{420}}{D_{520}}$  მეორე გადაღების შემდეგ (ცხრ. 2.2.3).

## საკვლევი დვინომასალების ზოგიერთი მახასიათებელი

განვენებლები	საფერავი	ვაქირულა	დირბულა	იზაბელა
$D_{420}$	0,460	0,890	0,750	0,160
$D_{520}$	0,790	0,820	0,900	0,170
$D_{620}$	0,265	0,310	0,370	0,070
$U$	15,15	20,2	20,2	4,0
$K = \frac{D_{420}}{D_{520}}$	0,582	1,08	0,83	0,94

გარდა ამისა მალვიდინის დიგლუკოზიდი რაოდენობრივად მჩირდება, ხოლო თხელფენოვან ქრომატოგრამაზე წაგრძელებულ ყავისფერ ლაქად ჩანს. მალვიდინის დიგლუკოზიდის ასეთი გარდაქმნა არ აღინიშნება დირბულასა და იზაბელას დვინომასალებში.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე ჩანს, რომ თითოეული ტექნიკური ჯიშის ყურძნისათვის დამახასიათებელია ანტოციანების თავისებური შედგენილობა, მაგრამ მასში შემავალ ანტოციანთა შორის ყოველთვის დომინირებს მალვიდინის-3-გლუკოზიდი და არ ფიქსირდება მალვიდინის დიგლუკოზიდის არსებობა. ტექნიკური ჯიშებისაგან განსხვავებით პიბრიდული ფორმის ყურძენში და დვინომასალაში ანტოციანთა შორის დომინირებს მალვიდინის დიგლუკოზიდი, თუმცა, ამავდროულად ანტოციანთა შორის ფიქსირდება მალვიდინის-3-გლუკოზიდიც (ბეჭუაშვილი, დეისაძე; 2007).

**2.3. ზოგიერთი ფენოლური ჯგუფების რაოდენობრივი თანაფარდობა წითელყურძნიანი ტექნიკური ჯიშებისაგან და პირდაპირმწარმოებელი პიბრიდებისაგან დამზადებულ ღვინომასალებში.**

წითელყურძნიანი ვაზის ტექნიკური ჯიშებისა და პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმებისაგან დამზადებული სუფრის მშრალი ღვინომასალების ანტოციანთა შესწავლამ დაადასტურა, რომ ტექნიკური ჯიშების ანტოციანთა შორის დომინანტია მალვიდინ-3-გლუკოზიდი, ხოლო პირდაპირმწარმოებელ პიბრიდულ ფორმებში კი მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი, თუმცა შეიცავენ მალვიდინის მონოგლუკოზიდსაც. მეცნიერული თვალსაზრისით, საჭიროა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. როდესაც მსოფლიო მასშტაბით განიხილებოდა ვაზის კულტურული ჯიშების და პიბრიდული ფორმების განსხვავების საკითხი, მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მიერ ტაქსონომიურ ნიშნად დასახელდა პიბრიდულ ფორმებში მალვიდინის დიგლუკოზიდის არსებობა. ამ მოსაზრებას თავისი ექსპერიმენტული შედეგებით დაუპირისპირდა ქართველი მეცნიერი ს. დურმიშიძე, რომელმაც ვაზის ტექნიკურ ჯიშებშიც დააფიქსირა დიგლუკოზიდები. ეს ჯიშებია: წითელი ბუდეშური, ალეატიკო, მაიერი, მარსელის ადრეული და ასურეთული შავი. საფერავში მალვიდინის-3,5-დიკლუკოზიდი არ დაფიქსირდა, მაგრამ დაფიქსირდა დელფინიდინის, პეონიდინისა და პეტუნიდინის დიგლუკოზიდები.

ექსპერიმენტის შედეგებიდან გამომდინარე მიზნად დავისახეთ გაგვეგრდებინა ტექნიკური ჯიშებისა და პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმებისაგან დამზადებულ ღვინომასალებში არაანტოციანური განმასხვავებელი მაჩვენებლების ძიება. ამისთვის ჩვენს საკვლევ ობიექტებში გამოვიკვლიეთ კატებინები, პროანტოციანიდინები და ფენოლკარბონ მჟავები.

საკმაოდ საინტერესო შედეგები მივიღეთ საერთო ფენოლური ნაერთების შემცველობის მხრივ. საფერავის, კაბერნეს და ოცხანური საფერეს ღვინომასალებში საერთო ფენოლური ნაერთები კანონზომიერად ნაწილდება, მაგრამ

დომინირებს პროანტოციანიდინების შემცველობა (შესაბამისად საფერავში 4,2 და 3,02 გ/ლ, კაბერნეში 3,1 და 1,9 გ/ლ, ოცხანურ საფერავში 4,3 და 3,2 გ/ლ). მათი განაწილება და თანაფარდობა საკმაოდ კარგად ჩანს ცხრ. 23.1.

ცხრილი 2.3.1

### ზოგიერთი ფენოლური ნაერთის შემცველობა წითელ მშრალ ღვინომასალებში

ღვინომასალები	პომპონენტები		
	საერთო ფენოლები, გ/ლ	პროანტოციანიდინები, გ/ლ	კატებინები, მგ/ლ
საფერავი	4,2	3,02	294,5
კაბერნე	3,1	2,2	261,2
ოცხანური საფერე	4,3	3,2	288,7
ვაქირულა	4,7	0,728	20,0
დირბულა	4,5	0,820	28,5
იზაბელა	2,25	0,524	16,3

პირდაპირმწარმოებელი პიპრიდული ფორმის ღვინომასალებში, ტექნიკურისაგან განსხვავებით, შეინიშნება სხვა კანონზომიერება. კერძოდ, მათში ჩანს რაოდენობრივი განსხვავება საერთო ფენოლურ ნაერთებსა და პროანტოციანიდინებს შორის (განსაკუთრებით ვაქირულას ღვინომასალაში ეს სხვაობა შეადგენს 3,972 გ/ლ). დირბულასა და იზაბელას ღვინომასალებში კი შესაბამისად დაახლოებით 3,68გ/ლ და 1,726 გ/ლ.


ეს ტენდენცია შენარჩუნებულია კატებინების შემცველობის შემთხვევაშიც. პიპრიდული ფორმების ღვინომასალებში მათი კონცენტრაცია მნიშვნელოვნად დაბალია ტექნიკურებისგან განსხვავებით.

საკვლევი ღვინოების ფენოლმჟავების თვისებრივი შედგენილობა მკვეთრად განსხვავდება. პიპრიდული ფორმის ღვინომასალები ფენოლმჟავებით გაცილებით უფრო მდიდარია ვიდრე ტექნიკური ჯიშებისაგან დამზადებული ღვინომასალები (პიპრიდული ფორმები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავენ იასამნის და ვანილინის მჟავებს) ცხრ. 2.3.2.

**კატებინების და ფენოლკარბონმჟავების თვისებრივი შემცველობა  
წითელ მშრალ ღვინომასალებში**

კომპონენტი	საფერავი	პარენე	ოცხანური საფერა	გაქორულა	დირბულა	იზაბელა
კატებინები:						
გალოპატებინები	+	+	+	+	+	კვალი
(-) ეპიგალოპატებინი	+	+	+	+	+	>>
(-) ეპიკატებინი	+	+	+	გვალი	კვალი	+
(+) კატებინი	+	+	+	>>	>>	+
ეპიკატებიგალატი	+	+	+	-	-	-
ფენოლმჟავები:						
გალის	+	+	+	-	+	+
პროტოპატების	+	+	+	+	+	+
4-ოქსიბენზოის	+	+	+	+	+	+
ყავის	+	+	+	+	+	+
პ-ჯუმარის	+	+	+	+	+	+
ფერულის	+	+	+	+	+	+
ვანილინის	+	+	+	+	+	+
იასამნის	+	+	+	+	+	+
სალიციილის	+	+	+	+	+	+


ჩატარებული კვლევის შედეგად ტექნიკური ჯიშებისა და პიბრიდული ფორმების ღვინომასალებს შორის გამოჩნდა მკვეთრი განსხვავება პროანტოციანიდინებსა და კატებინების შემცველობის მხრივ. პოლიმერული და ოლიგომერული პროანტოციანიდინების ურთიერთთანაფარდობა მკვეთრად განსხვავდება *V. vinifera*-ს და *V. Labrusca*-ს ღვინომასალებს შორის. კერძოდ, პოლიმერული პროანტოციანიდინები ტექნიკური ჯიშის ღვინომასალების საერთო ფენოლური ნაერთების 70,9 - 74,4%-ს შეადგენს, ხოლო პიბრიდული ფორმის ღვინომასალებში კი 15,4 - 23,2%-ს (ნახ. 2.3.1).



**ნახ. 2.3.1. სუფრის მშრალ წითელ ღვინომასალაში პოლიმერული  
პროანტოციანიდინების განაწილება**  
1 - საფერავი, 2 - კაბერნე, 3 - ოცხანური საფერე, 4 - ვაქირულა,  
5 - იზაბელა, 6 - დირბულა.

პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმის ღვინომასალები კატეხინების შემცველობის მხრივაც განსხვავდებიან ტექნიკური ჯიშის ღვინომასალებისა განპიბრიდებში მათი შემცველობა (16,3 - 28,5 მგ/ლ), ხოლო ტექნიკურ ჯიშებში (261,2 - 294,5 მგ/ლ). მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას ჯიშური სიწმინდის დადგენისათვის წითელ ღვინომასალებში.

თავის მხრივ ინტერესს იწვევს ექსპერიმენტში გამოყენებული ყურძნის კანებში არსებული წყალში სსნადი ფენოლური ნაერთების შემცველობა (ნახ. 2.3.2). პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმები ამ ჯგუფის ნაერთებით მნიშვნელოვნად მდიდარია, განსაკუთრებით დირბულა.



ნახ. 2.3.2. წყალში სსნადი ფენოლური ნაერთების შემცველობა ყურძნის კანში  
1 - საფერავი, 2 - კაბერნე, 3 - ოცხანური საფერა, 4 - ვაქირულა,  
5 - იზაბელა და 6 - დირბულა.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ლეიკოანტოციანები წყალში კარგად იხსნებიან. თავისუფალ ლეიკოანტოციანებს (არაპოლიმერიზებული ფორმები) არ გააჩნიათ მთრიმლავი (მწკლარტე) გემო. წითელ ღვინოებში მათი რაოდენობა არც ისე დიდია, ხოლო მათი პოლიმერიზებული ფორმებისა კი აღწევს 4,5 გ/ლ-მდე. საფერავის სუფრის მშრალ წითელ ღვინოებში ანტოციანების შემცველობა 1,72 - 2,65 გ/ლ. ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ჩანს, რომ ტექნიკური ჯიშებისაგან დამზადებულ ღვინომასალებში პროანტოციანიდინების რაოდენობა მერყეობს 2,2 - 3,2 გ/ლ შორის.

პროანტოციანები, ფლავონოლები, სტილბენები, კატეინები, ანტოციანები და სხვ. თავის მხრივ წარმოადგენენ მეტად მნიშვნელოვან ფენოლურ ნაერთებს, რაც წითელი ღვინის სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღირებულებას განაპირობებს. ისინი ძალიან დიდ და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არა მარტო ახალგაზრდა, არამედ ძველ ღვინოებში და იცვლებიან დაძველების პროცესში. ტანინ-ანტოციანური კომპლექსის განვითარება განაპირობებს სტაბილურ შეფერვის ინტენსივობას წითელ ღვინოებში.

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები პროანტოციანიდინების შესახებ, შეიძლება გამოყენებული იქნეს ჯიშური სიწმინდის დასადგენად წითელ ღვინომასალებში (ბეჭუაშვილი, დეისაძე, 2007).

## 2.4. ჯიშური სიწმინდის და პროანტოციანიდინების კორელაცია ტექნიკური ჯიშებიდან და პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმებიდან დამზადებულ წითელ ღვინომასალებში

ჩვენს კვლევებში დიდ ინტერესს იწვევს პროანტოციანიდინები, როგორც კიდევ ერთი განმასხვავებელი მაჩვენებელი ტექნიკური ჯიშებისა და პირდაპირმწარმოებელი პიბრიდებისგან დამზადებულ წითელ ღვინომასალებში. ტექნიკური ჯიშების ღვინასალებში პოლიმერული პროანტოცინიდინები შეადგენენ თავისუფალი ფენოლური ნართების 70,9 - 74,4%, ხოლო პიბრიდული ფორმების ღვინომასალებში ეს მაჩვენებელი მერყეობს 15,4 - 23% (გ. გ ბეჭუაშვილი და სხვა. 2007). ჯიშური სიწმინდის საკითხის შესწავლის პროცესში მიზნად დავისახეთ დაგვედგინა ჯიშური სიწმინდის კორელაცია წითელ ღვინომასალებში პროანტოციანიდინების შემცველობასთან.

როგორც ექსპერიმენტმა ცხადყო, ტექნიკური ჯიშებისა და პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმებისგან დამზადებული ღვინომასალები ფორმირების პროცესში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პოლიმერული და ოლიგომერული პროანტოციანიდინების შემცველობით (ცხრ. 24.1).

**ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინების  
რაოდენობრივი ცვალებადობა სუფრის მშრალი ღვინომასალების  
ფორმირების პერიოდში**

ღვინომასალები (მოსავლის წელი)	ოლიგომერული პროანტოციანიდინები, მგ/ლ			პოლიმერული პროანტოციანიდინები, გ/ლ			ოლიგომერული /პოლიმერული პროანტოციანიდინები		
	3 თვე	6 თვე	9 თვე	3 თვე	6 თვე	9 თვე	3 თვე	6 თვე	9 თვე
საფერავი (2005)	811	600	119	2,61	2,44	2,25	0,31	0,24	0,05
საფერავი (2006)	945	521	105	2,46	2,42	2,4	0,38	0,22	0,04
ოცხანური საფერავი (2005)	621	353	124	2,98	2,87	2,8	0,21	0,12	0,044
კაბურნე (2005)	486	181	88	2,3	2,2	2,0	0,21	0,08	0,044
თავებერი (2005)	748	415	78,2	1,97	1,82	1,72	0,38	0,23	0,045
თავებერი (2006)	797	451	84,5	2,08	1,86	1,80	0,38	0,24	0,46
ვაქირულა (2005)	1372	1000	140	0,459	0,850	2,17	2,99	1,18	0,06
ვაქირულა (2006)	1200	928	72,8	0,480	0,728	2,7	2,5	1,27	0,026
დირბულა (2005)	1970	1700	130	0,518	0,805	2,6	3,8	2,11	0,05
დირბულა (2006)	2500	2420	104	0,480	0,820	3,06	5,2	2,95	0,03
იზაბელა (2005)	520	350	27,5	0,150	0,491	0,682	3,46	0,71	0,04
იზაბელა (2006)	504	320	10,8	0,130	0,524	0,700	2,8	0,61	0,01

როგორც ექსპერიმენტული მონაცემები გვიჩვენებს, 3 თვიან ტექნიკური ჯიშების ღვინომასალებში ოლიგომერული პროანტოციანების რაოდენობა შედარებით დიდია: 486 – 945 მგ/ლ და ჰიბრიდულის 504 – 2500

მგ/ლ, დვინომასალებში კი მათი რაოდენობა დვინის შემდგომი ფორმირების პროცესში მცირდება, განსაკუთრებით ინტენსიურად ეს ხდება 6 - 9 თვიან დავარგების დვინომასალებში.

ტექნიკური ჯიშებისგან დამზადებულ დვინომასალებში 9 თვიანი ფორმირების შედეგად ოლიგომერული პროანტოციანიდინების შემცველობამ შეადგინა  $78,2 - 124$  მგ/ლ, ხოლო ჰიბრიდული ფორმების დვინო მასალებში  $10,8 - 140$  მგ/ლ. ამასთანავე, დვინომასალებში აღინიშნება რადიკალურად განსხვავებული კანონზომიერება. მაშინ, როცა 3 თვიანი დვინომასალები შეიცავს პოლიმერული პროანტოციანიდინების მცირე რაოდენობას ( $0,180 - 0,518$  გ/ლ). შემდგომი ფორმირების პროცესში მათი რაოდენობა იზრდება და 9 თვის შემდეგ აღწევს  $0,682 - 3.062$  გ/ლ. დვინომასალის ფორმირების პროცესში ერთდროულად აღინიშნება ორგარი ცვლილება: მცირდება ოლიგომერული პროანტოციანიდინების შემცველობა და იზრდება პოლიმერული პროანტოციანიდინების რაოდენობა. ჰიბრიდული ფორმების 6 თვიან დვინომასალებში ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები იცვლება: ამ დროისათვის ისინი იბურებიან და ინტენსიურ წითელ შეფერვას კარგავენ, 9 თვიანი დვინომასალა კი უკვე მნიშვნელოვნად არის შებურული, თუმცა ლექი წარმოქმნილი არ არის. ამ დროს მათი შეფერილობა წითელის ნაცვლად მოყავისფრო - ნარინჯისფერით ხასიათდება. როგორც ჩანს, ეს განპირობებულია ანტოციანების მონაწილეობით პოლიმერული ფორმების წარმოქმნაში. ამას აღასტურებს 420ნმ-ზე გაზრდილი შთანთქმის მაჩვენებელი ( $D_{420}$ ) (ცხრ. 2.4.2).

**პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმების 9 თვიანი  
ლგინომასალების ფერის ინტენსივობა**

ლგინომასალები	D <sub>420</sub>	D <sub>520</sub>	D <sub>620</sub>	ფერის ინტენსივობა	K = $\frac{D_{420}}{D_{520}}$
ვაქირულა	0,890	0,820	0,310	20,2	1,09
დირბულა	0,750	0,900	0,370	20,2	0,83
იზაბელა	0,160	0,170	0,070	4,0	0,94

6 და 9 თვიან ლგინომასალებში იზრდება ეთილაცეტატში ხსნადი ფრაქცია და შესაბამისად იზრდება პოლიმერული პროანტოციანიდინების რაოდენობა. ექსპერიმენტის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარა-უდოდ, რომ პიბრიდული ფორმის ლგინომასალებში მათი ფორმირების პროცესში ოლიგომერული პროანტოციანიდინები გადადიან უფრო პოლი-მერიზებულ, ეთილაცეტატში ხსნად ფორმებში და იზრდება პოლიმერული პროანტოციანიდინების რაოდენობა. ლგინომასალებში გამოვლენილი ეს ცვალებადობა კარგად აისახება პროანტოციანიდინებისა და ჯიშური სიწ-მინდის კორელაციაში. კერძოდ, როცა ტექნიკური ჯიშების ლგინომასალებ-ში ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინების ურთიერ-თშეფარდება მერყეობს 0,38-0,04 და ყოველთვის <1, მაშინ პიბრიდული ფორმების 6 და 3 თვიან ლგინომასალებში K>1.

პროანტოციანიდინებისა და ჯიშური სიწმინდის კორელაცია მკვეთ-რად აისახება, როგორც ჩვენს მიერ ტექნიკური ჯიშებისაგან დამზადებულ წითელ ლგინომასალებში, ასევე კომურციულ ლგინოებში (ცხრ. 2.4.3).

**ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინების  
თანაფარდობა ექსპერიმენტულ და კომერციულ წითელ ღვინოებში**

ღვინომასალა	საერთო ფენოლები, გ/ლ	ოლიგომერული პროანტოციანიდინები, გ/ლ	პოლიმერული პროანტოციანიდინები, გ/ლ	$K = \frac{\text{ოლიგომერული}}{\text{პოლიმერული}}$ პროანტოციანიდინები
ჯიში				
საფერავი(I)	3,5	104	2,4	0,04
საფერავი(II)	4,1	104	3,06	0,03
საფერავი(III)	3,0	83,2	2,1	0,04
კომერციული				
საფერავი(I)	3,0	83,2	2,1	0,04
საფერავი(II)	3,0	166,4	2,3	0,07
საფერავი(III)	3,4	936	2,1	0,44
კაბერნე სოვინონი	2,8	72,8	2,0	0,036
ალექსანდროული	2,9	936	1,7	0,55
მუჯურეთული	2,5	47,8	1,7	0,03
მუკუნი	3,8	56,2	2,8	0,02
ალაზნის ველი	3,1	83,2	2,0	0,04
ნაფარეული	3,3	936	2,0	0,42


საჭიროა ადინიშნოს, რომ ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინების თანაფარდობა თავისთავად წითელი ღვინის ნატურალობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. ამასთან დაკავშირებით ძალიან დიდ ინტერესს იწვევს აღნიშნული მაჩვენებლის კვლევა ფალსიფიცირებულ წითელ ღვინომასალებში. ფალსიფიკაციაში ამჯერად

იგულისხმება ტექნიკური წითელყურძნიანი ჯიშებიდან დამზადებული დვინომასალების ნატურალობის დარღვევა კონკრეტული პიბრიდული ფორმის დვინოების შერევით. პიბრიდული ფორმების 9 თვიანი დვინომასალა (ვაქირულა, დირბულა), რომელსაც შეცვლილი აქვს გემო, არომატი და ფერის ინტენსივობა, შევიტანეთ საფერავის დვინომასალაში, რის შედეგადაც მისი ორგანოლეპტიკური მაჩვენებელი შეიცვალა ზემოადნიშნული ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით. ე. გაუარესდა გემო, არომატიც და ფერის ინტენსივობა, რომლებიც არასაფერავისეული გახდა.


პროანტოციანიდინებისა და ჯიშური სიწმინდის კორელაცია ტექნიკური ჯიშებისგან დამზადებულ დვინომასალებში ვლინდება მათი პიბრიდული ფალსიფიკაციისას, დვინომასალის ფორმირების სხვადასხვა ეტაპზე. 3 თვიანი საფერავისა და ვაქირულას დვინომასალების კუპაჟირებისას იზრდება ოლიგომერული პროანტოციანიდინების რაოდენობა (945 - 1219,4 მგ/ლ) და მცირდება პოლიმერული პროანტოციანიდინების შემცველობა (2,46 - 2,06 მგ/ლ). ანალოგიური შედეგები მოგვცა 6 თვიანი დვინომასალების კუპაჟირებამ, ხოლო 9 თვიანი დვინომასალების კუპაჟირებისას დაფიქსირდა პოლიმერული პროანტოციანიდინების რაოდენობრივი ზრდა.

საფერავისა და დირბულას 9 თვიანი დვინომასალების კუპაჟირებისას ოლიგომერული პროანტოციანიდინების რაოდენობა უცვლელი რჩება მათი ერთნაირი რაოდენობით არსებობის ხარჯზე (104 მგ/ლ) ორივე დვინომასალაში.


საფერავისა და იზაბელას კუპაჟირებისას, დვინომასალის ფორმირების სხვადასხვა ეტაპზე გამომჟღავნდა, როგორც ოლიგომერული, ისე პოლიმერული პროანტოციანიდინების შემცირება და ამავდროულად ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების ცვლილება: ჯიშური გემოს და არომატის შეცვლა და ფერის ინტენსივობის დაქვეითება. (ნახ. 2.4.1-3)



ნახ.2.4.1. ოლიგომერული (ა) და პოლიმერული (ბ) პროანტოციანიდინების  
ცვალებადობის დინამიკა საფერავის დგინომასალაში ვაქირულას დგინომასალით  
კუპაჟირებისას: 1 – 3 ოვიანი; 2 – 6 ოვიანი; 3 – 9 ოვიანი დგინომასალები.



ნახ.2.4.2. ოლიგომერული (ა) და პოლიმერული (ბ) პროანტოციანიდინების  
ცვალებადობის დინამიკა საფერავის ღვინომასალაში დირბულას ღვინომასალით  
ძუპაჟირებისას: 1 – 3 თვიანი; 2 – 6 თვიანი; 3 – 9 თვიანი ღვინომასალები.



ნახ.2.4.3. ოლიგომერული (ა) და პოლიმერული (ბ) პროანტოციანიდინების ცვალებადობის დინამიკა საფერავის დგინომასალაში იზაბელას დგინომასალით კუპაჟირებისას: 1 – 3 თვიანი; 2 – 6 თვიანი; 3 – 9 თვიანი დგინომასალები.

საფერავის დგინომასალის ჯიშური სიწმინდის დარღვევის დროს პიბრი-დული ფალსიფიკაციისას, მკვეთრად იცვლება მასთან მიმართებაში პროანტოციანიდინთა კორელაცია. 3 თვიანი ვაქირულას დგინომასალით კუპაჟირებისას ოლიგომერული პროანტოციანიდინების თანაფარდობა პოლიმერულ პროანტოციანიდინებთან იზრდება 0,38-დან 0,59-მდე; 6 თვიანში 0,22-დან 0,29-მდე, ხოლო 9 თვიანის შემთხვევაში უმნიშვნელოდ მცირდება (0,43-დან 0,039-მდე). ანალოგიური ცვლილებები მიმდინარეობს საფერავის დგინომასალის დირბულათი და იზაბელათი ფალსიფირებისას.


ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინების შემცველობა, როგორც ტექნიკური ისე პიბრიდული ფორმის წითელ დგინომასალებში. დადგენილია პროანტოციანიდინების და ჯიშური სიწმინდის კორელაცია, რომელიც

პირობითად გამოვსახეთ კოეფიციენტით  $K = \frac{\text{ოლიგომერული}}{\text{პოლიმერული}} \text{პროანგოციანიდინები}$  ანუ შემოკლებით  $K = \frac{\text{ოპ}}{\text{პპ}}$ . ტექნიკური ჯიშების საფერავის, ოცხანური საფერეს, კაბერნე - სოვინიონის, თავკვერის დვინომასალებში და კიმერციულ დვინოებში ეს კოეფიციენტი  $K < 1$ , ხოლო 6 თვიანი პიბრიდული ფორმების ვაქირულას და დირბულას დვინომასალებში  $K > 1$ . მათგან განსხვავებით 6 - 9 თვიანი პიბრიდული ფორმის იზაბელას დვინომასალაში  $K < 1$ . გამოვლენილია ნაკლოვანებები და უარყოფითი მხარეები ტექნიკური ჯიშებიდან დამზადებული დვინომასალების ნატურალურობის დარღვევისას პიბრიდული ფორმის დვინომასალებთან კუპაჟირებისას. პროანგოციანიდინების დადგენილი კორელაცია, რომელიც პირობითად ავდნიშნეთ  $K = \frac{\text{ოპ}}{\text{პპ}}$  კოეფიციენტით, შეიძლება გამოყენებული იქნას წითელ დვინომასალებში ჯიშური სიწმინდის ობიექტურ მაჩვენებლად, დვინომასალაში არსებული ანგოციანების შემადგენლობის გათვალისწინებით. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული ფალსიფიკაციის ვარიანტები ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებთან და პროანგოციანიდურ კოეფიციენტთან ერთად დასტურდება თვისებრივადაც – პირდაპირმწარმოებელი პიბრიდებისთვის დამახასიათებელი მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდის არსებობით (ბეჭვაშვილი, დეისაძე, კობაიძე, 2008).


## **2.5. მეთილანტრანსილატის, როგორც პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული დამზადებული ლვინომასალების მახასიათებლის იდენტიფიკაცია**

ტექნიკური ჯიშებისა და პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმების წითელი ლვინომასალების ჯიშური სიწმინდის კვლევის დროს შევისწავლეთ პროცესიანიდინებისა და ანტოციანების როლი, გამოვალინეთ პროცესიანიდინებისა და ჯიშური სიწმინდის კორელაცია. გარდა ამისა ექსპერიმენტის მსვლელობისას საკვლევ ლვინომასალებს შორის გამოვლინდა არსებითი განსხვავება ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების მხრივაც - განსაკუთრებით არომატის თავისებურებით. გამომდინარე აქედან, მიზნად დავისახეთ გამოგვეკვლია ეს განმასხვავებელი ნიშანიც ჩვენს მიერ დამზადებულ ლვინომასალებში. საჭიროა აღინიშნოს, რომ პირდაპირმწარმოებელი წითელყურძნიანი ჰიბრიდული ფორმების, როგორც ყურძენი ასევე ლვინომასალები, ერთმანეთისგან განსხვავებული სპეციფიკური არომატით ხასიათდებიან. ამ მხრივ ყველასგან ლარიბი არომატით ვაქირულა გამოირჩევა. შესადარებლად გამოვიყენეთ სხვადასხვა დასახელების არომატმწარმომქმნელი მქროლავი კომპონენტები და ორგანოლეპტიკური მონაცემების მიხედვით გამოკვლევისთვის შევარჩიუთ მაღალ ტემპერატურაზე მოდულარი, ძლიერი არომატმწარმომქმნელი ნივთიერება – მეთილანტრანსილატი – იგი წარმოადგენს ამინომჟავის – ანტრანილის მჟავის მეთილის ეთერს. ამავე დროს მისი მოლეკულა შეიცავს  $(\text{NH}_2)$  ჯგუფს. მეთილანტრანსილატის იდენტიფიკაციის მიზნით ექსპერიმენტული ლვინომასალები წინასწარ, გამოვწვდილეთ ქლოროფორმით და ქლოროფორმიანი ფრაქცია გავააღმინიშეთ ქადალდის ქრომატოგრაფიით და ქრომატო-მასსპექტრული მეთოდით. გამოვიყენეთ გაზური ქრომატოგრაფი “Agilent technologies GC/MC”, სვეტი HP-SMS, ტემპერატურა  $40\text{-}300^{\circ}\text{C}$ , გაზმატარებელი ჰელიუმი.


მეთილანტრანილატი, როგორც ამინომჟავის წარმოებული, თვისებრივად განვსაზღვრეთ ქაღალდის ქრომატოგრაფიით და ქრომატოგრამები გავამჟღავნეთ ნინჭიდრინის რეაქტივით. ამავდროულად, მეთილანტრანილატი, როგორც  $\text{NH}_2$  ჯგუფის შემცველი ნივთიერება, დავაფიქსირეთ დრანგენდორფის რეაქტივით. ქრომატოგრამები და ქრომატო-მასსკეპტრი წარმოდგენილია ნახ.2.5.1. -ა-ვ.



ნაბ.2.5.1 – ა. ინდივიდუალური მეთილანტრანილაზის გაზური ქრომატოგრამა




ნახ.2.5.1. – ბ. დირბულას ღვინომასალის ქლოროფორმიანი ფრაქციის გაზეური  
ქრომატოგრამა




ნაბ.2.5.1. – გ. მეთილანგრანილატის მასს-სპექტრი.


მაღალინტენსიური პიკები.  $m/z$ -65, 92, 119, 151.




მეთილანგრანილატი



ნახ.2.5.1. – დ. ვაქირულას ღვინომასალის ქლოროფორმიანი ფრაქციის გაზური  
ქრომატოგრამა



ნახ.2.5.1. – ე. იზაბელას დგინომასასალის ქლოროფორმიანი ფრაქციის გაზური  
ქრომატოგრამა



ნაბ.2.5.1. – კ. საფერავის დგინომასაღის ქლოროფორმიანი ფრაქციის გაზური  
ქრომატოგრამა

ქრომატოგრამები გვიჩვენებს, რომ მეთილანტრანილატი ჰიბრიდული ფორმის - დირბულას დვინომასალის შემადგენელი კომპონენტია. მისი არსებობა დასტურდება ქრომატო-მასსპექტრითაც. მეთილანტრანილატის RT ტოლია - 11, 124 წთ; M(2)-151; მაღალმოდულარ ეთერებს და ხასიათდება ძლიერი ყვავილოვანი არომატით. აღსანიშნავია ჰიბრიდული ფორმის დვინომასალებს თავისებური არომატი და ბუკეტი. კერძოდ, დირბულას როგორც დვინომასალა, ასევე ყურძნის მარცვალი ხასიათდება მკვეთრი ყვავილოვანი არომატით (როგორც სუნით, ასევე გემოთი) რაც განპირობებულია მეთილანტრანილატის შემცველობით.


ვაქირულას, დირბულასაგან განსხვავებით საერთოდ არ გააჩნია ყვავილოვანი არომატი და არც მეთილანტრანილატს შეიცავს. რაც შეეხება იზაბელას დვინომასალას და ყურძნის მარცვალს ის ხასიათდება თავისებური არომატით, რაც საერთოდ დამახასიათებელია *Vitis Labrusca*. სახეობის ყურძნისათვის. ჩვენი ექსპერიმენტის თანახმად იზაბელასა და ვაქირულას დვინომასალებში მეთილანტრანილატი არ აღმოჩნდა, ის მხოლოდ დირბულას დვინომასალაში ფიქსირდება. რაც შეეხებათ ტექნიკური ჯიშების საფერავის, კაბერნეს, ოცხანური საფერეს და თავკვერის დვინომასალებს, მათ ქლოროფორმიან ფრაქციებში მეთილანტრანილატი არ ფიქსირდება.

ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე, ჰიბრიდული ფორმის დირბულას დვინომასალაში იდენტიფიცირდა მაღალმოდულარი, არომატული ნაერთი მეთილანტრანილატი. ამ სპეციფიური ბუკეტით დირბულა ადგილად გამოირჩევა, როგორც ტექნიკური ჯიშებისაგან, ისე პირდაპირმარმოებელი ჰიბრიდებისაგან. მიღებული შედეგი საშუალებას გვაძლევს, რათა მეთილანტრანილატი მიჩნეულ იქნეს დირბულას დვინომასალის მახასიათებლად (დეისაძე, 2008).

## 2.6. ანტოციანიდინთა დიგლუკოზიდები ზოგიერთ

### პირდაპირმწარმოებელ პიბრიდულ ფორმებში

ნატურალური წითელი დვინოების ხარისხი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მათში ჯიშური სიწმინდის ფაქტორით. საქართველოში გავრცელებული ვაზის წითელყურძნიანი ჯიშებისგან დამზადებული მაღალხარისხოვანი ნატურალური დვინოები ხასიათდებიან ჯიშური თავისებურებით განპირობებული ანტოციანთა პროფილით. აღნიშნული პროფილის ცვლილება ანტოციანთა დიგლუკოზიდური ფორმებით, ჯიშური სიწმინდის დარღვევის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ამასთან დაკავშირებით შემდგომი კვლევის მიზანს წარმოადგენდა თვისებრივად გამოგვეკვლია პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმების – ვაქირულას, დირბულას და იზაბელას მახასიათებელი დიგლუკოზიდური ანტოციანები. აგვედასტურებინა კონკრეტული განმასხვავებელი ანტოციანები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ტექნიკური ჯიშებიდან დამზადებული წითელი დვინოების პიბრიდული ფალსიფიკაციის დადგენა. ანტოციანების შედგენილობაზე, მათ მსგავსება-განსხვავებაზე ტექნიკური ჯიშებიდან და პირდაპირმწარმოებელი პიბრიდული ფორმებიდან დამზადებულ დვინომასალებში მიუთითებს ქაღალდის ქრომატოგრაფიის და სითხური ქრომატოგრაფიის ანალიზის შედეგები (ნახ.2.6.1 - 4).



ნახ 2.6.1. საექსპერიმენტო ლგინომასასალების ანტოციანთა ქრომატოგრამა.

1. კაბერნე-სოვინიონი; 2-ოცხანური საფერე; 3-საფერავი ბუდეშურისებრი;
  - 4-საფერავი; 5-თავკვერი; 6-ვაქირულა; 7-იზაბელა 8-დირბულა; 9-შავკაპიტო.
- ა-მალვიდინ-3,5-გლუკოზიდი; ბ-მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი;
- გ-პეტუნიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; დ-დელფინიდინ-3,5-დიგლუკოზიდი.

ანტოციანების განსაზღვრას მრავალრიცხოვანი შრომები მიეძღვნა რიგ ქვეყნებში (ვალუიკო, 1969ა, 1969ბ) ასევე საქართველოშიც. საქართველოში ყურძნისა და ღვინის ანტოციანების გამოკვლევა დაწყებულია ს.დურმიშიძის ხელმძღვანელობით. *Vitis vinifera* წარმოდგენილი ჯიშების ყურძნის კანიდან იდენტიფიცირებული იქნა ძირითადი ანტოციანები, რომელთა შორის დომინანტი იყო მალვიდინის მონოგლუკოზიდი. იდენტიფიცირდა შემდეგი: დელფინიდინ-3-გლუკოზიდი, ციანიდინ-3-გლუკოზიდი, პეტუნიდინ-3-გლუკოზიდი, მალვიდინ-3-გლუკოზიდი, პეონიდინ-3-გლუკოზიდი დამათთან ერთად მათი აცილირებული ფორმები. აცილირებული ანტოციანები ძირითადად პ-კუმარის, ფერულის და ყავის მეავების წარმოებულებია (დურმიშიძე 1955; დურმიშიძე და სხვა 1958; 1963; 1983; სოფრომაძე; 1974).

ანტოციანების გამოკვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წითელი და ვარდისფერი ღვინოების ხარისხობრივი შეფასებებისათვის. აქედან გამომდინარე ეს საკითხი ყოველთვის იმსახურებს ავტორთა ყურადღებას. ბეჭუაშვილისა და ქვლივიძის მიერ (2005) გამოკვლეულია კახეთის რაიონებში გავრცელებული საფერავის ყურძნის კანის და რბილობის, ასევე შესაბამისი სუფრის მშრალი ღვინომასალების საღებავი ნივთიერებები.

ანტოციანთა ტექნოლოგიური მარაგი საქართველოში გავრცელებულ წითელყურძნიან ჯიშებში ებელაშვილის მონაცემებით (2007) შემდეგია: საფერავის ყურძენში 2100 - 2340 მგ/დმ<sup>3</sup>; თავკვერის ყურძენში 760 - 875 მგ/დმ<sup>3</sup>, ასურეთული შავი 630 – 540 მგ/დმ<sup>3</sup>; შავკაპიტო 572 მგ/დმ<sup>3</sup>.

ურუგვაის წითელყურძნიან ჯიშებში - RGS მედიუმი და ტანატი განსაზღვრული ანტოციანთა რაოდენობა საერთო ჯამში შემდეგია: მალვიდინის მონოგლუკოზიდი - 49% და 51%; ციანიდინის მონოგლუკოზიდი 9% და 9,5%; დელფინიდინის მონოგლუკოზიდი - 4% და 4,5%; პეონიდინის მონოგლუკოზიდი -2,5-5%; აცილირებული ანტოციანები ძირითადად წარმოდგენილია აცეტატების და კუმარატების სახით და შეადგენს 39% და 30%.


დვინის დამკელების პროცესში ანტოციანები მონაწილეობენ რა ჟანგვა-აღდგენით რეაქციებში, თანდათანობით იუანგებიან, კონდენსირდებიან და გამოიყოფიან ნალექის სახით. ანტოციანები მთლიანად კონდენსირდებიან აცეტალდეპიდთან, მაგრამ უფრო სწრაფად და ნაწილობრივ მთრიმლავ ნივთიერებებთან. აცეტალდეპიდთან კონდენსაციის რეაქციაში განსაკუთრებით ადვილად შედის მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი, ვიდრე მალვიდინის მონოგლუკოზიდი. აქედან გამომდინარე, წითელ დვინოში მოყავისფრო-ნარინჯისფერი შეფერვის წარმოქმნაზე მეტად დიდია მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდის გავლენა.

ანტოციანები მეტალთა იონებთან წარმოქმნიან ხელატურ კომპლექსებს, რომელთა შეფერვა დამოკიდებულია მეტალზე. მაგ: რკინა ანტოციანური კომპლექსი წითელი შეფერილობისა; მოლიბდენ-ანტოციანური ლურჯი და იისფერი; ნიკელთან და სპილენძთან ანტოციანური კომპლექსები თეთრია; ალუმინ-ანტოციანური კი ლურჯი შეფერვის (ტანჩევი, 1980).

ქრომატოგრამაზე (ნახ. 2.6.1) წარმოდგენილი ანტოციანური სპექტრი ნათლად მიუთითებს წითელყურძნიანი ტექნიკური ჯიშებიდან და პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმებიდან დამზადებული ლვინომასალების ანტოციანთა თვისებრივი შედგენილობის განსხვავებაზე.


განსხვავება გამოიხატება ვაქირულასა და დირბულას ნიმუშებში დიგლუკოზიდური ანტოციანების დიდი რაოდენობით არსებობით (6-8-ბ, გ, დ). იზაბელასგან დამზადებული ლვინომასალის ნიმუში განსხვავდება ვაქირულასა და დირბულას ნიმუშებისგან. კერძოდ, იმით, რომ, ნაკლებია მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი და კვალის სახითაა პეტუნიდინ-3,5-დიგლუკოზიდი და დელფინიდინ-3,5-დიგლუკოზიდი. პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმებიდან დამზადებულ ლვინომასალებში დაფიქსირებული ზემოაღნიშნული დიგლუკოზიდები ქაღალდის ქრომატოგრამაზე არ შეინიშნება ტექნიკური ჯიშებისაგან დამზადებულ სუფრის მშრალ ლვინომასალებში. როგორც ქაღალდის, ასევე მაღალეფექტური სითხური

ქრომატოგრაფიის შედეგები ანუ ანტოციანთა თვისებრივი ანალიზი, კოდა ერთხელ გამოხატავს კვლევებით დადგენილ კანონზომიერებას-ვაზის წითელყურძნიანი საღვინე ჯიშების ანტოციანებში დომინანტია მალვიდინის მონოგლუკოზიდი, ხოლო პირდაპირმარმოებელ ჰიბრიდულ ფორმებში მალვიდინის დიგლუკოზიდი (ნახ.2.6.2-5). ქრომატოგრამები ადასტურებს ასევე ჰიბრიდული ფორმების ანტოციანთა შორის დომინანტ მალვიდინის დიგლუკოზიდთან ერთად შედარებით მცირე რაოდენობით მონოგლუკოზიდის შემცველობასაც.




ნახ.2.6.2. ვაქირულას მშრალი ლგინომასალის ანტოციანთა სითხური ქრომატოგრამა.

- 1 - დელფინინ-3,5-დიგლუკოზიდი; 3 - ციანინინ-3,5-დიგლუკოზიდი;
- 4 - პეტუნინინ-3,5-დიგლუკოზიდი; 6 - მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი;




ნახ.2.6.3. იზაბელას მშრალი ღვინომასალის ანგოციანთა სითხური ქრომატოგრამა.

- 1 - დელფინიდინ-3,5-დიგლუკოზიდი;
- 2 - ციანიდინ-3,5-დიგლუკოზიდი;
- 3 - პეტუნიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; - მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი;



ნახ.2.6.4. დირბულას მშრალი დგინომასალის ანტოციანთა სითხეური ქრომატოგრამა.

- 1 - დელფინიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; 3 - ციანიდინ-3,5-დიგლუკოზიდი;
- 4 - პეტუნიდინ-3,5-დიგლუკოზიდი; 6 - მალვიდინ-3,5-დიგლუკოზიდი;



ნახ.2.6.5. ოცხანური საფერეს სუფრის მშრალი ღვინის ანტოციანთა  
სითხური ქრომატოგრამა.

- 2-დეკანიდინ-3-გლუკოზიდი;
- 3-ციანიდინ-3-გლუკოზიდი;
- 4-პეტუნიდინ-3-გლუკოზიდი;
- 5-პეონიდინ-3-გლუკოზიდი;
- 6-მალვიდინ-3-გლუკოზიდი;
- 11-პეონიდინ-3-გლუკოზიდ-აცეტატი;
- 12-მალვიდინ-3-გლუკოზიდ-აცეტატი;
- 14-პეონიდინ-3-გლუკოზიდ-კუმარატი;
- 15-მალვიდინ-3-გლუკოზიდ-კუმარატი;


ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე გამოვლინდა ვაზის წილურმძნიანი ტექნიკური ჯიშებიდან და პირდაპირ არმოებული პიბრიდული ფორმებიდან დამზადებული ღვინომასალების ანტოციანთა სპექტრებს შორის თვისებრივი განსხვავება. ეს გამოიხატება პიბრიდულ ფორმებში დიგლუკოზიდური ანტოციანების დომინანტი რაოდენობით არსებობაში. მიღებული შედეგები ნატურალური ღვინომასალების სხვა მაჩვენებლებთან ერთად შეიძლება გამოყენებული იქნეს წითელ ღვინოებში ჯიშური სიწმინდის დადგენის მიზნით.

## 2.7. ანტოციანიდინების ლეიკოფორმები წითელი ღვინომასალების პოლიმერულ პროანტოციანიდინებში

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ჯიშური სიწმინდის საკითხთან დაკავშირებით ცხადყო, რომ ტექნიკური ჯიშებისგან დამზადებული ღვინომასალები მკვეთრად განსხვავდებიან პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმების ღვინომასალებისგან ოლიგომელური და პოლიმერული პროანტოციანიდინების შემცველობის თვალსაზრისით.

გავითვალისწინეთ რა, მიღებული შედეგები და გავაგრძელეთ ამ საკითხთან დაკავშირებული კვლევები, მიზნად დავისახეთ დაგვედგინა განსხვავდებოდა თუ არა საექსპერიმენტო პოლიმერულ პროანტოციანიდინებში შემცველი ანტოციანიდინების ლეიკოფორმები.

მუავური ჰიდროლიზის შედეგად გარდაქმნილი პოლიმერული პროანტოციანიდინების თვისებრივი შედგენილობა ადასტურებს, მათში ციანიდინის და დელფინიდინის შემცველობას და დომინანტია ციანიდინი (ნახ.2.7.1).



ნახ.2.7.1. პოლიმერული პროანტოციანიდინების გარდაქმნის პროდუქტების ქაღალდის ქრომატოგრამა (სისტემა ნ-ბუთანოლი; მმარმუავა; წყალი; 4:1:2).

I-საფერავი; II-ოცხანური საფერე; III-კაბერნე;

IV-ვაქირულა; V-იზაბელა; VI-დირბულა.

1) დელფინიდინი; 2) ციანიდინი

ტექნიკური წითელყურძნიანი ვაზის ჯიშების საფერავის, ოცხანური საფერეს და კაბერნეს მშრალ ღვინომასალებში პოლიმერული პროანტოციანიდინები იძლევიან ანტოციანიდინების ინტენსიურ ლაქას, რაც განპირობებულია ღვინომასალებში პროანტოციანიდინების მაღალი შემცველობით. რაც შეეხება პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმების პოლიმერული პროანტოციანიდინების ჰიდროლიზაცებს, ისინი ძალიან სუსტად არიან შედებილნი, რაც გამოწვეულია ღვინომასალაში მათი დაბალი კონცენტრაციით. მათ ქრომატოგრამაზე ფიქსირდება ციანიდინისა და დელფინიდინის სუსტი ინტენსივობის ლაქები.

ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ტექნიკური ჯიშების საფერავის, ოცხანური საფერეს და კაბერნეს ღვინომასალების პოლიმერულ პროანტოციანებში შედიან ციანიდინისა და დელფინიდინის ლეიკოფორმები, თუმცა ჭარბობს ციანიდინი. რაც შეეხება ჰიბრიდული ფორმის ღვინომასალებს, მათი პოლიმერული პროანტოციანიდინების შედგენილობაც ანალოგიურია, მაგრამ უფრო სუსტადა გამოსახული. მიღებული შედეგები მიუითოთებენ საკვლევ წითელ ღვინომასალებში პოლიმერული პროანტოციანიდინების ანალოგიურ თვისებრივ შედგენილობაზე. ანუ წითელ ღვინომასალებში ჯიშური სიწმინდის დასადგენად, პროციანიდინების რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოყენებაა მიზანშეწონილი და არა თვისებრივის. (დეისაძე, 2008).

• օմագարեակօացար զսցոմսէաք  
զգազպաք զտպաը ազբ.սզնեպան սակնապեան սազ և սզնեպոգարեակօացար  
զսցոմսցոմանան ‘զսցոմսցոման’ ‘զսցոմսցոման’ ‘զսցոմսէաք-սզնեանազց’  
սակնապան զսցոմսէաք և զուգութիւն սակնապան հանդեպն զոգնեպօպեղին  
զուգապան Յայոզնեցոյն զուգնեպեցոյն զուգնեպեցոյն ազբ.  
զուգնեպան զուգնեպան զուգնեպան զուգնեպան զուգնեպան զուգնեպան  
զուգնեպան զուգնեպան զուգնեպան զուգնեպան զուգնեպան զուգնեպան

୦୯୦୯୦୯୦୯୦


၁၂၈. အကြောင်းဖွံ့ဖြိုးလျော်စွဲမှုပါ ရအောင်သွေးချောင်း ရပ်စီးအောင် ၁၂၆၀၇၉၃။

**ანტოციანთა შემცველობა ყურძნის კანის ექსტრაქტში (ექსტრაქტები  
მიღებულია შემუავებული ეთილის სპირტით გამოწვლილვით)**

№	ანტოციანების დასახელება	RRT	ჯ ი შ ე ბ ი					
			კაბერნე	ოცხანური ხაფურებები	საფერავი ბულეტურისტრი	საფერავი	თავისებრი	ობგავარები
ვ ი გ ი ს ფ ა რ თ თ ბ ი								
1	დელფინიდინ-3- გლუკოზიდი	0,61	52284	336616	130706	224072	5459	72897
2	ციანიდინ-3- გლუკოზიდი	0,73	203026	271364	174891	403635	4761	150066
3	პეტუნიდინ-3-გლუ- კოზიდი	0,81	162569	1186669	496086	850586	15892	179789
4	პეონიდინ-3- გლუკოზიდი	0,93	515680	685814	1939819	1935968	132489	575397
5	მალვიდინ-3- გლუკოზიდი	1,0	1648725	10863600	5122903	9450935	1316620	1877410
6	პეონიდინ-3- გლუკოზიდ- აცეტატი	1,38	6334	2449	5725	7230	6275	1779
7	მალვიდინ-3- გლუკოზიდ- აცეტატი	1,41	6444	1598	3636	28504	1336	3166
8	პეონიდინ-3- გლუკოზიდ- კუმარატი	1,70	2332	1380555	178689	568203	93277	108080
9	მალვიდინ-3- გლუ- კოზიდ- კუმარატი	1,75	13592	2686	1970	3388	1244	1165

## ანტოციანების შემცველობა დგინოში

№	ანტოციანების დასახელება	RRT	პ ი კ ი ს ფ ა რ თ თ ბ ი						თავმცირებელი
			ნუსხა	ნაფინანსერი ინდიციები	საფრთხო საფრთხე	საფრთხო საფრთხე	საფრთხო საფრთხე	საფრთხო საფრთხე	
1	დელფინიდინ-3- გლუკოზიდი	0,63	2053093	5587051	186784	1918026	2067764	624911	
2	ციანიდინ-3- გლუკოზიდი	0,73	294782	202952	116176	146032	290563	84366	
3	ჰეტუნიდინ-3- გლუკოზიდი	0,82	1662573	9578077	221113	2728035	4023703	2309958	
4	ჰეონიდინ-3- გლუკოზიდი	0,93	882711	1708865	966074	1114037	2189939	435077	
5	მალვიდინ-3- გლუკოზიდი	1,0	13497152	63757560	1699728	19943934	40473320	25047020	
6	ჰეონიდინ-3- გლუკოზიდ- აცეტატი	1,38	33977	8512	1323	1689	14550		არ ფიქსირ- დება
7	მალვიდინ-3- გლუკოზიდ- აცეტატი	1,42	16336	134873	17136	99355	13379	37766	
8	ჰეონიდინ-3- გლუკოზიდ- კუმარატი	1,70	154594	1036338	10493	24397	438927	183770	
9	მალვიდინ-3- გლუკოზიდ- კუმარატი	1,77	88577	113790	24613	9816	3570	22,57	



ნახ.2.8.1. გაბერნეს გურმნის კანის ანტოციანთა სითხეური ქრომატოგრამა:


